# I გაკვეთილი

1.1

წერა – ანბანი

| ა | ი | თ |
|---|---|---|

ა ა

ი ი

თ თ

ა ა

ი ი

თ თ

ია

თითი

ათი

აი ია

აი თითი

ათი თითი

ი-ა. ი-ა. ი-ა. ი-ა. ი-ა. ი-ა. ი-ა.
თი-თი. თი-თი. თი-თი. თი-თი.
თა-თი. თა-თი. თა-თი. თა-თი.
ა-თი. ა-თი. ა-თი. ა-თი. ა-თი.

ია. თითი. თათი. ათი.
აი ია. აი თითი. აი თათი.
ათი თითი. აი ათი თითი.
აი ათი ია. აი ათი თითი.
ია. თითი. თათი. ათი.

1.2

| | |
|---|---|
| – გამარჯობა. | ნახ. I.1 |
| – გაგიმარჯოს | |

| | |
|---|---|
| – ნახვამდის | ნახ. I.2 (მხოლოდ ფანჯრის ფრაგმენტი) |
| – კარგად იყავი. | |

1.3

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0 | ნული | | 6 | ექვსი |
| 1 | ერთი | | 7 | შვიდი |
| 2 | ორი | | 8 | რვა |
| 3 | სამი | | 9 | ცხრა |
| 4 | ოთხი | | 10 | ათი |
| 5 | ხუთი | | | |

| | |
|---|---|
| * * * | ? |
| * * | ? |
| * * * * * * * | ? |
| * * * * * * | 6 |
| * * * * * * * * * | ? |
| * * * * | ? |
| * * * * * * | ? |

1.4

– გამარჯობა.

– გაგიმარჯოს.

– როგორ ხარ?

– კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?

– მეც კარგად ვარ.

I 1.5 ✍ წერა

ა ა

ი ი

თ თ

ია

თითი

ათი

1.6 ➢

მისალმება, მოკითხვა,

| | |
|---|---|
| – გამარჯობა.<br>– გამარჯობა.<br>– როგორ ხარ?<br>– კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?<br>– მეც კარგად ვარ. | – ნახვამდის<br>– ნახვამდის, კარგად იყავი |
| ნახ. I.4 | ნახ. I.2 - სრულად ალბათ არ გაიმართება ტექნიკურად. ამიტომ აქაც ფრაგმენტი, ოღონდ ორივე ფიგურა რომ გამოჩნდეს |

**1.7**

| | | |
|---|---|---|
| ნახ. II - 1 | ნახ. II. - 3 | ნახ. II - 4 |
| მე | შენ | ის |
| ნახ. II - 5 | ნახ. II - 6 | ნახ. II - 7 |
| ჩვენ | თქვენ | ისინი |

**1.8**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მე ვარ | ჩვენ ვართ | | მე კარგად ვარ | ჩვენ კარგად ვართ |
| შენ ხარ | თქვენ ხართ | | შენ კარგად ხარ | თქვენ კარგად ხართ |
| ის არის | ისინი არიან | | ის კარგად არის | ისინი კარგად არიან |

## 2.1 [illegible] — ანბანი

| ს | ხ | ო |
|---|---|---|

ს ს

ხ ხ

ო ო

ს ს

ხ ხ

ო ო

საათი

თხა

ოთახი

აი თხა

ოთხი ოთახი

ათი თასი

სა-ა-თი. ო-თა-ხი. სი-ა. ოთ-ხი.
თა-სი. თი-ხა. თხა. თი-თი.
თი-თი. ი-ა. ო-თა-ხი. თა-სი.
სი-ა. ო-თა-ხი. ოთ-ხი. ა-თი.
ოთ-ხი. ა-თი. სა-ა-თი. თა-თი.

ია. თითი. თათი. ათი.
აი ოთახი. აი თითი. აი სია.
ათი თითი. აი ოთხი თითი.
თიხა. თხა. აი ოთხი თხა.
ოთახი. ოთხი. ოთხი ოთახი.

# II გაკვეთილი

## 2.2

– ადექი!
– დაჯექი!
– წაიკითხე ხმამაღლა!
– წარმოთქვი ხმამაღლა!
– მოისმინე!
– გამოდი დაფასთან!
– დაწერე დაფაზე!
– დაწერე ფურცელზე!
– ჩაწერე რვეულში!
– ყოჩაღ!
– კარგია!
– ცუდია!
– არვარგა!

## 2.3

| | |
|---|---|
| მე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

ნახ. II - 2

ნახ. II - 3

ნახ. II - 4

?

?

ნახ. II - 5

ნახ. II - 6

ნახ.II - 7

## II 2.4 ✍ წერა

ს ს

ხ ხ

ო ო

ოთხი

საათი

ოთახი

ოთხი თასი

ათი ოთახი

აი ოთახი. ოთხი ხე.

აი ოთხი თხა.

აი ოთახი. ოთხი ხე. აი თითი.

აი ოთხი თხა. აი ათი თასი.

## 2.5

➢ **ნაცნობი სიტყვები.**

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| ათი | თასი | ჩაწერე |
| აი | კარგად | ყოჩაღ |
| გამარჯობა | ადექი! | საათი |
| შვიდი | თიხა | სამი |
| თითი | თხა | სია |
| მე | ია | ნახვამდის |
| თათი | ოთახი | დაჯექი! |
| ისინი | ოთხი | |

# III გაკვეთილი

3.1 წერა – ანბანი

| ე | უ | მ |
|---|---|---|

ე ე

უ უ

მ მ

ე ე

უ უ

მ მ

მამა

უთო

მთა

სამი ხე

ხუთი მუხა

აი მამა

მა-მა. მუ-ხა. ხე. სა-ხე. მთა.
თი-თი. ხუ-თი. თა-სი. უ-თო.
სა-მი. ოთ-ხი. ხუ-თი. ა-თი.
უ-თო. თუ-თა. სო-სო. თ-ხა.

სახე. მუხა. მამა. ხუთი. უთო.
აი ოთახი. აი მამა. აი მუხა.
ხუთი მუხა. აი სამი ხე.
თიხა. აი სამი თხა.
მუხა. აი ხუთი მუხა.

3.2

– გამარჯობა.
– გაგიმარჯოს.
– როგორ ხარ?
– გმადლობ, კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?
– მეც კარგად ვარ.

I - 4

3.3

– გამარჯობა.
– გაგიმარჯოს.
– როგორ ბრძანდებით?
– გმადლობთ, კარგად ვარ. თქვენ როგორ ბრძანდებით?
– მეც კარგად ვარ

I - 5 (სასურველია, I-5-ში ახალგაზრდები ქალი შეიცვალონ მოხუცებით, ან I - 4 და I - 6 შეიცვალოს შესაბამისი ფოტოებით)

## III ✍ წერა

ე ე

უ უ

ო ო

მთა

მამა

უთო

მუხა

ოთხი მუხა

ათი ხე

აი სახე. ხუთი ხე.

აი თიხა. აი ათი თუთა.

**3.4**

➢ ნაცნობი სიტყვები.

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| ათი | ადექი | ჩაწერე |
| მამა | თიხა | ყოჩაღ |
| გამარჯობა | თხა | ხუთი |
| შვიდი | ია | საათი |
| უთო | მთა | სამი |
| ისინი | ხე | სია |
| თასი | ოთახი | სამი |
| კარგად | ოთხი | მუხა |

**3.5**

| წიგნი | რვეული | გაზეთი | კალამი |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |

# IV გაკვეთილი

**4.1** წერა – ანბანი

| რ | ვ | ლ |
|---|---|---|

რ რ

ვ ვ

ლ ლ

რ რ

ვ ვ

ლ ლ

თარო

თავი

ლომი

რვა მსხალი

ორი მელა

აი ხელი

სა-ხე-ლი. თა-ვი. სა-ხე. ხმა.
ხე-ლი. რვა. სა-მი. ლე-ლა.
მა-მა-ლი. ოთ-ხი. მსხა-ლი.
ხი-ლი. თო-ხი. ლა-ლი. ო-რი.

რვა. ლომი. რვეული. სახელი.
მამალი. აი ახალი ხილი. აი
ოთხი მსხალი. ეს არის
მერხი. ოთარი. მარილი.
თეთრი თოვლი. თმა. ორი.

**4.2**

ეს → არის

ის → არის

| | |
|---|---|
| ეს არის გოგო | ნახ. II - 3 |
| ის არის ბიჭი | ნახ. II - 4 |

**4.3**

– ეს რა არის?
– ეს არის თავი.
– ეს რა არის?
– ეს არის ხელი.
– ეს რა არის?
– ეს არის თითი
– ეს რა არის?
– ეს არის თმა.

**4.4**

ლ ⇒ ლ

რ ⇒ რ

IV 4.5 ✍ წერა

რ რ

ვ ვ

ლ ლ

მერხი

რვეული

სახელი

მარილი

მსხალი

თეთრი

თეთრი თოვლი.

ის არის მელა.

ეს არის რვეული.

IV ✍ წერა

რ რ

ვ ვ

ლ ლ

მერხი

რვეული

სახელი

მარილი

მსხალი

თეთრი

თეთრი თოვლი.

ის არის მელა.

ეს არის რვეული.

**4.6**

➢ ნაცნობი სიტყვები.

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| ათი | ხილი | მერხი |
| მარილი | თიხა | ოთხი |
| თეთრი | თხა | ხუთი |
| მამა | ია | საათი |
| სია | რვეული | მუხა |
| თარო | სახელი | ერთი |
| თავი | მამალი. | რვა |
| ლომი | მთა | ორი |
| უთო | ხე | ხელი |
| თასი | ოთახი | თოვლი |
| ახალი | მსხალი. | თმა |

**4.7** ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი



# V გაკვეთილი

**5.1**

წერა – ანბანი

| ქ | ღ | შ |
|---|---|---|

ქ ქ

ღ ღ

შ შ

ქილა

შეშა

ღამე

ექვსი ქილა.

ორი მელა

იქ არის მთა.

ქა-ლა-ქი. ე-ქი-მი. ღუ-მე-ლი.
ღა-მე. შე-შა. შა-ქა-რი. ქვა.
სა-თა-მა-შო. შა-ვი. თეთ-რი.
მუ-შა. შარ-ვა-ლი. შო-თა

საქართველო. ქილა. შეშა.
ღამე. ეს არის ახალი სახლი.
შოთა არის მუშა. ღამე არის
შავი. თოვლი არის თეთრი.
ის არის ქართველი.

**5.2**

ეს არის თითი.

~~ეს თითი არის.~~

**ეს თითია**

ეს არის სახლი

~~ეს სახლი არის~~

**ეს სახლია**

**5.3**

ნახ. I - 7

– გამარჯობა, ლალი
– გაგიმარჯოს..
– როგორ ხარ?
– გმადლობ, კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?
– მეც კარგად ვარ. ეს ვინ არის ლალი?
– ეს ნინოა.
– გამარჯობა ნინო. მე სოსო მქვია.
– გაგიმარჯოს სოსო.

– მე მქვია სოსო. შენ რა გქვია?
– მე მქვია ნინო

– მე მქვია სოსო. თქვენ რა გქვიათ?
– მე მქვია ნინო

## V — წერა

ქ ქ

ღ ღ

შ შ

საქართველო

ექიმი

ეს არის ახალი სახლი. შოთა არის მუშა. თოვლი თეთრია.

ოთარის შარვალი შავია. აქ ხუთი მუხაა. მსხალი ხილია.

ეს ქალი ქართველია.


## V — წერა

ქ ქ

ღ ღ

შ შ

საქართველო

ექიმი

ეს არის ახალი სახლი. შოთა არის მუშა. თოვლი თეთრია.

ოთარის შარვალი შავია. აქ ხუთი მუხაა. მსხალი ხილია.

ეს ქალი ქართველია.

5.5

| | | |
|---|---|---|
| XXIV - 1 | XXIV - 2 | XXIV - 3<br>ხელი |
| – ეს რა არის?<br>– ეს არის ია | – ეს რა არის?<br>– ეს თითია | – ............<br>– ............ |
| XXIV - 4<br>სახლი | XIV - 4<br>მერხი | XXIV - 5<br>თათი |
| – ............<br>– ............ | – ............<br>– ............ | – ............<br>– ............ |
| XXIV - 6<br>ხე | XXIV - 7<br>მთა | XIX - 2<br>თხა |
| – ............<br>– ............ | – ............<br>– ............ | – ............<br>– ............ |
| XXIV - 8<br>უთო | XVIII - 1<br>შარვალი | XXIV - 9<br>შეშა |
| – ............<br>– ............ | – ............<br>– ............ | – ............<br>– ............ |

**5.6**

➢ **ნაცნობი სიტყვები.**

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

თეთრი
მამა
თარო
თავი
ექიმი
მუშა
თასი
ახალი
თიხა
ია
გამარჯობა
რვეული
სახელი
მამალი.
მთა
ხე

ოთახი
მსხალი.
მერხი
ღამე
შავი
ოთხი
ბაბუა
ბავშვი
საქართველო
ქალაქი
საათი
მუხა
ერთი
რვა
ორი
ხელი

თოვლი
თმა
ექვსი
სათამაშო
ქვა
შარვალი
ბებია
გაკვეთილი
ცხრა
წიგნი
ანბანი
ღუმელი
შეშა
ხილი
საქართველო

**5.7**

ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი



# VI გაკვეთილი

## 6.1

წერა – ანბანი

| დ | ვ | ნ |
|---|---|---|

დ დ

ვ ვ

ნ ნ

დედა

დროშა

ვემი

აქ ვემია.

გორი ქალაქია

იქ ნავია.

დე-და. ვე-ნა-ხი. ვე-მი. დრო-შა. მა-მი-და. შვი-დი. და-ნა. ვე-ნა-ხი. ხი-დი. ქა-ლა-ქი. რა-დი-ო. თე-ლა-ვი. ვარ-დი.

ის ვენახია. ეს სიმინდია.
ეს არ არის ახალი ხილი.
აქ დიდი ქარხანაა
აქ ნინოს ახალი სახლია.
გიორგი ქართველია.

ეს ნინოს დეიდაა.
ის არის სოსოს მამიდა.
აქ არის ვანოს ვენახი.
ეს არ არის ოთარის ნავი.

## 6.2

აქ — არის
იქ — არის

## 6.3

ვარ, ხარ, არის.

მე ვარ ქართველი.
ეს . . . რვეული.
შენ . . . მუშა.
ის . . . თურქი.
იქ . . . ქალაქი.
მე . . . თურქი.
შენ . . . ქართველი.
შაქარი . . . თეთრი.
აქ . . . სახლი.
იქ . . . შეშა.

## 6.4

იქ ვენახი და სიმინდია. ვენახი ოთარისაა. სიმინდი არის ლალის. **ლალი ოთარის მამიდაა.** ლალი ქართველია.
ოთარის სახლი ახლოსაა. ლალის სახლი შორსაა

| | |
|---|---|
| ☞ | ლალი ოთარის მამიდაა. |
| | ეს ოთარის სახლია |

| | |
|---|---|
| ☞ |  |

VI 6.5 ✍ წერა

დ დ

ბ ბ

ნ ნ

დედა

დეიდა

მამიდა

იქ ვენახი და სიმინდია. ვენახი ოთარისაა. სიმინდი არის ლალის. ლალი ოთარის მამიდაა. ლალი ქართველია. ოთარის სახლი ახლოსაა. ლალის სახლი შორსაა

VI ✍ წერა

დ დ

ბ ბ

ნ ნ

დედა

დეიდა

მამიდა

იქ ვენახი და სიმინდია. ვენახი ოთარისაა. სიმინდი არის ლალის. ლალი ოთარის მამიდაა. ლალი ქართველია. ოთარის სახლი ახლოსაა. ლალის სახლი შორსაა

**6.6** წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა

აქ დიდი ქარხანაა, ის ვენახია, აქ ნინოს ახალი სახლია, ეს არ არის ოთარის ნავი, ის არის სოსოს მამიდა, ოთარის სახლი ახლოსაა ლალის სახლი შორსაა, ეს ხე დიდია, ის დიდი ხიდი ხისაა, ეს ხიდი ქვისაა.

**6.7**

➢ ნაცნობი სიტყვები.

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| დედა | დანა | ქარხანა |
| ვენახი | ხიდი | დეიდა |
| გემი | რადიო | მამიდა |
| დროშა | ვარდი | ნავი |
| მამიდა | სიმინდი | ნინო |
| შვიდი | დავითი | დიდი |

**6.8** ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი



# VII გაკვეთილი

## 7.1

წერა – ანბანი

| ზ | ყ | ძ |
| --- | --- | --- |

ზ ზ

ყ ყ

ძ ძ

ვაზი

ყური

ძაღლი

აქ ეზოა.

ეს ყვავილია

რძე თეთრია.

დე-და. მა-მა. ძმა. დე-ი-და.
მა-მი-და. ვა-ზი. თევ-ზი. დღე.
ღამე. მთვარე. ვარსკვლავი.
ყვავილი. ძროხა. ყანა. მზე.

აქ თამაზის ეზოა.
ზაზას მამა ქარხნის მუშაა.
ენძელა ლამაზი ყვავილია.
აქ ნინოს ძველი სახლია.
მერი არ არის ქართველი.

თამაზი გიორგის ძმაა.
მზია არ არის სოსოს მამიდა.
თინას ძმა ექიმია.
ნინო მაიას შვილია.

## 7.2

მე მაქვს
შენ გაქვს
მას აქვს

**მაქვს, გაქვს, აქვს.**

მე მაქვს რვეული.
მე მაქვს დანა.
შენ გაქვს სახლი.
მას . . . ოთახი.
. . . აქვს მაგიდა.
შენ . . . რვეული.
შენ . . . თასი.
. . . აქვს შეშა.
მე . . . ვარდი.
მას . . . დროშა.
. . . გაქვს უთო.

## 7.3

– ეს ვინ არის?
– ეს ოთარია.
– ეს **რა** არის?
– ეს ნავია.

## 7.4

მზიას მამა ქარხნის მუშაა. ქარხანა ქალაქშია. მზიას სახლს ეზო აქვს. ეზოში ენძელაა. ენძელა ლამაზი ყვავილია. მზიას ძმა ექიმია.

7.5

✍ წერა

ზ ზ

ყ ყ

ძ ძ

მზიას მამა ქარხნის მუშაა. ქარხანა ქალაქშია. მზიას სახლს ეზო აქვს. ეზოში ენძელაა. ენძელა ლამაზი ყვავილია. მზიას ძმა ექიმია.

✍ წერა

ზ ზ

ყ ყ

ძ ძ

ოთარის მამა ექიმია. მისი სახლი ქალაქშია. ოთარის სახლს ეზო არ აქვს. ოთარის ძმა ქარხნის მუშაა. ოთარის ძმას ღუმელი აქვს .

**7.6** წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა

ზაზა სახელია. ზაზა ექიმია, ის ნონას ძმაა, ნინო მაიას შვილია, მზიას მამა ქარხნის მუშაა, ქარხანა ქალაქშია, მზიას სახლს ეზო აქვს, ეზოში ენძელაა, ენძელა ლამაზი ყვავილია

**7.7**

- ნაცნობი სიტყვები.

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| ვაზი | ვარსკვლავი | ძველი |
| ყური | ძროხა | ბალი |
| ძაღლი | ყანა. | ბაღი |
| ცხენი | ცივი | ლამაზი |
| ჰაერი | ცხელი | მერი |
| ეზო | მზე | თევზი |
| თევზი | თამაზი | მზია |
| დღე | ზაზა | მაია |
| ბურთი | ცხრა | ბევრი |
| ღამე | ჰიმნი | შვილი |
| მთვარე | ენძელა | ცხვარი |
| ბამბა | ბაბუა | ბებია |

**7.8** ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი



**7.9** გემი, ეზო, ვარდი, თითი, ბურთი, ბაღი, მსხალი, მარილი, სათამაშო, ძაღლი, სიმინდი, ხიდი.

| | |
|---|---|
| მე მაქვს გემი<br>შენ გაქვს გემი<br>მას აქვს გემი | ............<br>............<br>............ |
| ............<br>............<br>............ | ............<br>............<br>............ |
| ............<br>............<br>............ | ............<br>............<br>............ |
| ............<br>............<br>............ | ............<br>............<br>............ |
| ............<br>............<br>............ | ............<br>............<br>............ |

**7.10** გემი, ზაზა, ეზო, ვარდი, თითი, ბურთი, ექიმი, ბალი, ბაღი, ბაბუა, მსხალი, მარილი, რვეული, ბებია, სათამაშო, ძაღლი, სიმინდი, თამაზი, ხიდი.

| | |
|---|---|
| ვინ? | ზაზა, |
| რა? | გემი, |

# VIII გაკვეთილი

## 8.1 წერა – ანბანი

| ც | ჰ | ბ |
|---|---|---|

ც ც

ჰ ჰ

ბ ბ

ცხენი

ჰაერი

ბურთი

ეს მცენარეა.

ის ცხოველია

ბამბა თეთრია.

მცე-ნა-რე. ცხო-ვე-ლი. ცი-ვი. ცხრა. ჰიმ-ნი. თევ-ზი. ბა-ღი. ცხელი.ღობე. ბამბა. ბალი. დედა. მამა. დეიდა. მამიდა. და. ძმა. ბებია. ბაბუა.

ბესოს ბურთი აქვს.
ცხენი ცხოველია.
ზაზას ბაღში მუშაა.
ეს საქართველოს ჰიმნია.
ენძელა ლამაზი ყვავილია.
ბესოს ბაბუა ექიმია.
ზაზა არ არის სოსოს ბაბუა.

## 8.2

| | |
|---|---|
| მე მაქვს | მე მყავს |
| შენ გაქვს | შენ გყავს |
| მას აქვს | მას ჰყავს |

მაქვს, გაქვს, აქვს; მყავს, გყავს, ჰყავს.

მე მაქვს ყვავილი.

მე მყავს დედა.

შენ გაქვს ყური.

მას . . . ბურთი.

. . . ჰყავს . . . . . .

შენ . . . ცხენი.

მას . . . . ცხოველი.

. . . აქვს ბაღი.

მე . . . ბაბუა.

მას . . . ბაბუა.

. . . გაქვს . . . . . .

## 8.3 სად? საიდან? (ში; დან.)

საქართველოში – საქართველოდან
ქალაქში – ქალაქიდან
გორში – გორიდან
თელავში – თელავიდან
თურქეთში – თურქეთიდან
შავშეთში – შავშეთიდან

## 8.4

– გამარჯობა.
– გაგიმარჯოს.
– როგორ ხარ?
– კარგად. შენ როგორ ხარ?
– კარგად ვარ. საიდან მოდიხარ?
– ქუთაისიდან. შენ სად მიდიხარ, თელავში?
– არა, მე გორში მივდივარ.

8.5 ✍ წერა

ც ც

ჰ ჰ

ბ ბ

ბესოს ბურთი აქვს. ცხენი ცხოველია. ეს საქართველოს ჰიმნია. ეზოში ენძელაა. ენძელა ლამაზი ყვავილია. ბესოს ბაბუა ექიმია.

VIII ✍ წერა

ზ ზ

ყ ყ

ძ ძ

ბესოს ბურთი აქვს. ცხენი ცხოველია. ეს საქართველოს ჰიმნია. ეზოში ენძელაა. ენძელა ლამაზი ყვავილია. ბესოს ბაბუა ექიმია.

**8.6** წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა

ბესოს ბურთი აქვს. ცხენი ცხოველია. ეს საქართველოს ჰიმნია. ეზოში ენძელაა. ენძელა ლამაზი ყვავილია. ბესოს ბაბუა ექიმია.

ნინოს ბებია და ბაბუა სოფელში არიან.

**8.7**

- ნაცნობი სიტყვები.

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| ვაზი | ვარსკვლავი | ძველი |
| ყური | ძროხა | ბალი |
| ძაღლი | ყანა. | ბაღი |
| ცხენი | ცივი | ლამაზი |
| ჰაერი | ცხელი | მერი |
| ეზო | მზე | თევზი |
| თევზი | თამაზი | მზია |
| დღე | ვაზი | რადიო |
| ბურთი | ცხრა | ბევრი |
| ღამე | ჰიმნი | შვილი |
| მთვარე | ენძელა | ცხვარი |
| ბამბა | ბაბუა | ბებია |

**8.8** ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი



## 9.1 წერა – ანბანი

| ჩ | კ | პ |
|---|---|---|

ჩ ჩ

კ კ

პ პ

ჩანთა

კოვზი

პური

ეს სპილოა.

იქ სკამია

ჩაი ჩაიდანშია.

ჩა-ი. ჩარ-ჩო. სკო-ლა. სო-კო. კა-ლა-მი. სა-პო-ნი. პი-რი. ჩაი. კარი. სკამი. თოკი. პარასკევი. ზოოპარკი. პური.

ეს არის ჩანთა. სურათს ლამაზი ჩარჩო აქვს. სპილო ზოოპარკშია. ოთახს ორი კარი აქვს. პავლე სკოლაში მიდის. სკოლის ეზოში ათი ხეა.

თამაზი *მიდის* სკოლაში.
მზია *მოდის* სკოლაში.
თამაზი *მიდის* სკოლიდან.
თამაზი *მოდის* სკოლიდან.

# IX გაკვეთილი

## 9.2

| | |
|---|---|
| მე ვარ | ჩვენ ვართ |
| შენ ხარ | თქვენ ხართ |
| ის არის | ისინი არიან |

## 9.3 მრავლობითი რიცხვი – ებ –

ყვავილი – ყვავილ(ებ)ი – ყვავილები
ექიმი – ექიმ(ებ)ი – ექიმები
თევზი – თევზ(ებ)ი – თევზები
მუხა – მუხ(ებ)ი – მუხები
მთა – მთ(ებ)ი – მთები
ია – ი(ებ)ი – იები
ხე – ხე(ებ)ი – ხეები
უთო – უთო(ებ)ი – უთოები

!

მაღალი – ~~მაღალები~~ – მაღლები
მსხალი – ~~მსხალები~~ – მსხლები
ღუმელი – ~~ღუმელები~~ – ღუმლები
ქარხანა – ~~ქარხანები~~ – ქარხნები

## 9.4 ვინ არის? რა არის?

| | |
|---|---|
| მე ვარ ექიმი | მე ვარ მუშა |
| შენ ხარ ექიმი | შენ ხარ მუშა |
| ის არის ექიმი | სოსო არის მუშა |
| ჩვენ ვართ ექიმები | მე და სოსო ვართ მუშები |
| თქვენ ხართ ექიმები | შენ და სოსო ხართ მუშები |
| ისინი არიან ექიმები | ზაზა და სოსო არიან მუშები |

## 9.5 სად არის? საიდან არის?

მაია არის საქართველოში.
მაია საქართველოშია.

ალი არის თურქეთიდან
ალი თურქეთიდანაა.

მზია არ არის გორიდან.
სოსო გორიდანაა.

ოთარი არ არის ქალაქში.
გიორგი ქალაქშია

მე საქართველოდან ვარ.
შენ თურქეთიდან ხარ
ის ჩინეთიდანაა

ჩვენ საქართველოდან ვართ
თქვენ თურქეთიდან ხართ
ისინი ჩინეთიდან არიან

## IX ✍ წერა

ჩ ჩ

ძ ძ

პ პ

ჩანთა

კოვზი

პური

ეს არის ჩანთა. სურათს ლამაზი ჩარჩო აქვს. სპილო ზოოპარკშია. ოთახს ორი კარი აქვს. პავლე სკოლაში მიდის. სკოლის ეზოში ათი ხეა.

## IX ✍ წერა

ჩ ჩ

ძ ძ

პ პ

ეს არ არის პავლეს ჩანთა. პავლე სკოლაში მიდის. სკოლის ეზოში მუხის ხეა. პავლეს ძმა ქარხნის ექიმია. ზოოპარკში დიდი სპილოა.

## 9.6 წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა

ეს არის ჩანთა. სურათს ლამაზი ჩარჩო აქვს. სპილო ზოოპარკშია. ოთახს ორი კარი აქვს. პავლე სკოლაში მიდის. სკოლის ეზოში ათი ხეა.

ეს კაცი სოფლიდანაა, მეც სოფლიდან ვარ. ის კაცი ქალაქელია.

## 9.7

➢ ნაცნობი სიტყვები.

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| ჩანთა | ფანქარი | სკამი |
| კოვზი | ჩარჩო | თოკი |
| ფეხი | სკოლა | ფინჯანი |
| წიგნი | სოკო | ჯანმრთელობა |
| პური | ფრინველი | პარასკევი |
| სპილო | ძაფი | ფოთოლი. |
| დაფა | კალამი | ფორთოხალი |
| სკამი | საპონი | ნაბიჯი |
| ჯოხი | წვიმა | ზოოპარკი |
| ჩაი | პირი | პირი |
| ჩაიდანი | წყარო | ფული. |
| წყალი | წერილი | წამალი |
| ფანჯარა | კარი | წელი |

## 9.8 ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი



# X გაკვეთილი

## 10.1 წერა – ანბანი

| ფ | წ | ჯ |
|---|---|---|

ფ ფ

წ წ

ჯ ჯ

ფეხი

წიგნი

ჯოხი

ეს დაფაა.

ეს წყალია

ფანჯარა ღიაა.

ფინ-ჯა-ნი. და-ფა. ფან-ქა-რი. წყა-ლი. ფორ-თო-ხა-ლი. წყა-რო. ფან-ჯა-რა.

ფრინველი. ძაფი. წვიმა. წერილი. ჯანმრთელობა. ფული. წამალი. ფოთოლი. ნაბიჯი. წელი.

წყაროს წყალი ცივია.
სუფთა ჰაერი კარგია.

მარიამს დიდი სახლი აქვს. ეს სახლი სოფელშია. სახლის ეზოში ბევრი მცენარეა. ეზოში არის რვა ფორთოხლის ხე, ორი მუხის ხე და ყვავილები.

მაია არის მასწავლებელი.
ნინო არის მოსწავლე.

## 10.2 მოსმენა – საუბარი

| | |
|---|---|
| მე ვარ | ჩვენ ვართ |
| შენ ხარ | თქვენ ხართ |
| ის არის | ისინი არიან |

| | |
|---|---|
| მე მაქვს | ჩვენ გვაქვს |
| შენ გაქვს | თქვენ გაქვთ |
| მას აქვს | მათ აქვთ |

| | |
|---|---|
| მე მყავს | ჩვენ გვყავს |
| შენ გყავს | თქვენ გყავთ |
| მას ჰყავს | მათ ჰყავთ |

## 10.3

*მე* ***მაქვს*** *ფანქარი. მე* ***მყავს*** *დედა. შენ* ***გაქვს*** *წიგნი. ის* ***არის*** *ექიმი.* მას ................ წიგნი. მარიამი ................ მასწავლებელი. შენ ................ მოსწავლე. ეს ................ დაფა. ჩვენ ................ ცხენი. ................ გაქვთ თეფშები. მას ................ ცხენი. მათ ................ სახლები. ზაზას სახლს ................ ბაღი. თამაზის ეზოში ................ სამი ფორთოხლის ხე. მარიამს ................ ბებია და ბაბუა. ოთარი ................ მაიას მამა. გიორგის ................ და. ბესო ................ შოთას ძმა. შოთას ................ სკამები. ჩვენ ................ მამალი. მას ................ ბაბუა. ბესოს და ზაზას ................ თხები. ლელას ................ სკამები

## 10.4

| | |
|---|---|
| მე მაქვს წიგნი | ჩვენ ................................ |
| შენ ................................ | თქვენ ................................ |
| მას ................................ | მათ ................................ |

10.5 X ✍ წერა

ფ ფ

Ⴔ Ⴔ

ⴔ ⴔ

X ✍ წერა

ფ ფ

Ⴔ Ⴔ

ⴔ ⴔ

მარიამს დიდი სახლი აქვს. ეს სახლი სოფელშია. სახლის ეზოში ბევრი მცენარეა. ეზოში არის რვა ფორთოხლის ხე, ორი მუხის ხე და ყვავილები.

X ✍ წერა

ფ ფ

Ⴔ Ⴔ

ⴔ ⴔ

მარიამს დიდი სახლი აქვს. ეს სახლი სოფელშია. სახლის ეზოში ბევრი მცენარეა. ეზოში არის რვა ფორთოხლის ხე, ორი მუხის ხე და ყვავილები.

**10.6** წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა

წყაროს წყალი ცივია. სუფთა ჰაერი კარგია.

მარიამს დიდი სახლი აქვს. ეს სახლი სოფელშია. სახლის ეზოში ბევრი მცენარეა. ეზოში არის რვა ფორთოხლის ხე, ორი მუხის ხე და ყვავილები.

მარიამის მანქანა წითელია. მარიამის მანქანა ლამაზია.

**10.7**

➢ ნაცნობი სიტყვები.

1. მოძებნეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ და შემოხაზეთ.
2. მასწავლებლის მიერ არეული თანმიმდევრობით ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაწერეთ სამუშაო რვეულის 2.4 დავალებაში ნაცნობი სიტყვები, რომლის დაწერაც შეგიძლიათ.

| | | |
|---|---|---|
| ჩანთა | ფანქარი | სკამი |
| კოვზი | ჩარჩო | თოკი |
| ფეხი | სკოლა | ფინჯანი |
| წიგნი | სოკო | ჯანმრთელობა |
| პური | ფრინველი | პარასკევი |
| სპილო | ძაფი | ფოთოლი. |
| დაფა | კალამი | ფორთოხალი |
| სკამი | საპონი | ნაბიჯი |
| ჯოხი | წვიმა | ზოოპარკი |
| ჩაი | პირი | პირი |
| ჩაიდანი | წყარო | ფული. |
| წყალი | წერილი | წამალი |
| ფანჯარა | კარი | წელი |

**10.8** ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი



11.1

წერა – ანბანი

| ტ | ქ | ჭ |
| --- | --- | --- |

ტ ტ
ქ ქ
ჭ ჭ

ტოტი
ქოლო
ჭერი

ეს კატაა.
აი ჟურნალი.
ეს ჭიქაა..

ტო-ტი. ქო-ლო. ჭე-რი.
ჭი-ან-ჭველ-ლა. ქან-გი. ჩი-ტი.
ჟურ-ნა-ლი. ჭი-ქა. ა-ტა-მი
მტევანი. ბატკანი. ბიჭი.
ტელეფონი. . ჟირაფი. კატა.
ტელევიზორი. ჭურჭელი.

ნატოს კატა ჭრელია.
მაწონი მჟავეა.
ზოოპარკში ჟირაფია.
ჭიქაში წყალია.
ფუტკარი მწერია. თაფლი ტკბილია. თინას პატარა თეთრი ბატკანი ჰყავს.
თეფში, ფინჯანი, ლამბაქი, ჭიქა ჭურჭელია.

# XI გაკვეთილი

11.2

| | |
| --- | --- |
| ყვავილი | ყვავილები |
| ექიმი | |
| თევზი | |
| მუხა | |
| მთა | |
| ია | |
| ხე | |
| უთო | |
| მამალი | |
| მსხალი | |
| ღუმელი | |
| ქარხანა | |
| ტოტი | |
| კატა | |
| ჭიქა | |
| ჭიანჭველა | |
| ატამი | |
| მტევანი | |
| ბატკანი | |
| ბიჭი | |
| გოგო | |
| ჟირაფი | |
| ტელევიზორი | |
| ტელეფონი | |

11.3

| | |
| --- | --- |
| საქართველო | საქართველოში<br>საქართველოდან |
| ქალაქი | |
| გორი | |
| თურქეთი | |
| თელავი | |

**11.4** წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა

ნატოს კატა ჭრელია. მაწონი მჟავეა. ზოოპარკში ჟირაფია. ჭიქაში წყალია. ფუტკარი მწერია. თაფლი ტკბილია. თინას პატარა თეთრი ბატკანი ჰყავს. თეფში, ფინჯანი, ლამბაქი, ჭიქა ჭურჭელია.

**11.5** წერა

ტ ტ

ქ ქ

ჭ ჭ

ნატოს კატა ჭრელია. მაწონი მჟავეა. ზოოპარკში ჟირაფია. ჭიქაში წყალია. ფუტკარი მწერია. თაფლი ტკბილია. თინას პატარა თეთრი ბატკანი ჰყავს. თეფში, ფინჯანი, ლამბაქი, ჭიქა ჭურჭელია.

**10.6** 11.5 დავალებათა ტექსტებში მოცემული სიტყვების გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი.



# XII გაკვეთილი

**12.1**

| ნახ. II - 3 | ნახ. II - IV |
|---|---|
| | |
| – გამარჯობა, მე შოთა ვარ.<br>– გამარჯობა, მე მქვია შოთა. | – გამარჯობა, მე ნინო ვარ.<br>– გამარჯობა, მე ნინო მქვია. |

– შენ რა გქვია?
– მას რა ჰქვია?

**12.2**

| | |
|---|---|
| – გამარჯობა.<br>– გაგიმარჯოს.<br>– როგორ ხარ?<br>– გმადლობ, კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?<br>– მეც კარგად ვარ. | – გმადლობ, კარგად. შენ? |
| როგორ ხარ? – კარგად ვარ. / არა მიშავს. / ცუდად ვარ. | – შოთა, როგორ ხარ?<br>– გმადლობ, კარგად. შენ?<br>– არა მიშავს.<br>– სოსო როგორ არის?<br>– სოსო ცუდად არის. |

12.3

| | |
|---|---|
| ნახ. I - 2 | – ნახვამდის!<br>– კარგად იყავი! |
| ნახ. I - 3 | – კარგად ბრძანდებოდეთ! |

12.4

| | |
|---|---|
| სად მიდიხარ? (თელავი) | მე მივდივარ თელავში |
| საიდან მოდიხარ? (თელავი) | მე მოვდივარ თელავიდან |
| სად მიდიხარ? (სახლი) | ................................................ |
| სად მიდიხარ? (ეზო) | ................................................ |
| საიდან მოდიხარ? (ქალაქი) | ................................................ |
| საიდან მოდიხარ? (საქართველო) | ................................................ |

12.5

## ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან...

| | | + | – |
|---|---|---|---|
| 0 | მე ვარ ქალაქში | X | |
| 0 | შენ არის სკოლაში | | X |
| 1 | ვანოს ჰყავს თოხი | | |
| 2 | დავითი აქვს ქალაქში | | |
| 3 | ლელას სოფელში სახლი ჰყავს. | | |
| 4 | ნინო და ანა მასწავლებლები არის. | | |
| 5 | ჩვენ ვართ მოსწავლეები. | | |
| 6 | აკაკის აქვს ფანქარი. | | |
| 7 | მუხა არის ხე. | | |
| 8 | ისინი ვართ ქალაქში | | |
| 9 | ენძელა არის მცენარე | | |
| 10 | თქვენ ხართ მასწავლებლები. | | |
| 11 | მზია და მაია არის ეზოში | | |
| 12 | ისინი არიან ექიმები. | | |
| 13 | ნინო არის მოსწავლე. | | |
| 14 | დავითი და გივი არიან ექიმები. | | |
| 15 | ჩვენ გვყავს ცხოველები. | | |
| 16 | ნინოს ჰყავთ ცხოველები. | | |
| 17 | შოთა არის გივის მამა. | | |
| 18 | გიორგი არის გივის ბიძა | | |
| 19 | თამარს აქვს დედა და მამა. | | |
| 20 | მარიამი არის ანას ბებია. | | |

12.6

## წაიკითხეთ ხმამაღლა

– გამარჯობა.
– გაგიმარჯოს.
– როგორ ხარ?
– კარგად. შენ როგორ ხარ?
– მეც კარგად ვარ. სად მიდიხარ?
– ბათუმში. შენ სად მიდიხარ, ქობულეთში?
– არა, მე თბილისში მივდივარ.
– ნინოც თბილისში მოდის?
– არა, ნინო გორში მიდის.

– გამარჯობათ.
– გაგიმარჯოთ.
– როგორ ბრძანდებით?
– კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?
– მეც კარგად ვარ. სად მიბრძანდებით?
– ბათუმში. თქვენ სად მიბრძანდებით, ქობულეთში?
– არა, მე თბილისში მივდივარ.
– ნინოც თბილისში მობრძანდება?
– არა, ნინო გორში მიდის.

– რა გქვია?
– ნინო. შენ რა გქვია?
– მარიამი

– რა გქვიათ?
– ნინო. თქვენ რა გქვიათ?
– მარიამი

12.7

| მაქვს, გაქვს, აქვს... მყავს, გყავს, ჰყავს... | | + | − |
|---|---|---|---|
| 1 | მე მაქვს საათი | X | |
| 2 | შენ გყავს რადიო | | X |
| 3 | მზიას ჰყავს ძაღლი | | |
| 4 | მე მაქვს სათამაშო | | |
| 5 | მაიას აქვს დეიდა | | |
| 6 | მე მყავს ხელი | | |
| 7 | მარიამს აქვს რვეული | | |
| 8 | სოსოს აქვს მამალი | | |
| 9 | თინას აქვს დროშა | | |
| 10 | შენ გყავს მამა | | |
| 9 | მას არ ჰყავს მამიდა | | |
| 10 | ზაზას აქვს ძროხა | | |

12.8

| სად? საიდან? (ში; დან.) | |
|---|---|
| სად? | ქალაქში |
| საიდან? | ქალაქიდან |
| სად | სახლ................. |
| საიდან | საქართველო.............. |
| .................... | გორიდან |
| .................... | ეზოში |
| სად? | თურქეთ....................... |
| ..................... | თურქეთში |
| სად? | ქარხანა.................. |
| ...................... | შავშეთში |
| ..................... | თელავიდან |
| სად? | ყანა.................. |

12.9

შეადგინეთ დიალოგი, ჩაწერეთ და წაიკითხეთ

ნახ. I-6

12.10

1. – გამარჯობა.

– ............................................................

– როგორ ხარ?

– ............................................................

2. – გამარჯობა, ნინო, როგორ ......................

– .........................................................................

3. – გამარჯობათ **ქალბატონო** თამარ.

– ........................................................................

– როგორ ...........................................?

– კარგად. შენ როგორ ხარ?

– .......................................................................

4. – სად მიდიხარ დავით?

– ქუთაისში. ................................., თელავში?

– არა, მე ბათუმში მივდივარ.

5. – გამარჯობა.
– გაგიმარჯოს.
– როგორ ხარ?
– კარგად. შენ როგორ ხარ?
– მეც ............................... სად მიდიხარ?
– ქობულეთში.

6. – გამარჯობათ ბატონო გივი.

– გაგიმარჯოთ ქალბატონო თამარ.

– როგორ ..................................................?

– კარგად. ...................... როგორ ..............................?

– კარგად ვარ. სად ...............................................?

– ქობულეთში. .....................................................?

– მეც ქობულეთში..............................................

12.11

## 4. წარმოთქვით ხმამაღლა

კარგი კარგი კარგი კარგი კარგი კარგი
კოვზი კოვზი კოვზი კოვზი კოვზი კოვზი
კალამი კალამი კალამი კალამი კალამი
კარი კარი კარი კარი კარი კარი კარი კარი

ტკბილი ტკბილი ტკბილი ტკბილი ტკბილი
ტოტი ტოტი ტოტი ტოტი ტოტი ტოტი ტოტი
ბატონი – ბატონო ბატონი – ბატონო
ქალბატონი–ქალბატონო
ქალბატონი–ქალბატონო

ყური ყური ყური ყური ყური ყური ყური
ყვავილი ყვავილი ყვავილი ყვავილი ყვავილი
ყანა ყანა ყანა ყანა ყანა ყანა ყანა ყანა
წყარო წყარო წყარო წყარო წყარო წყარო

ცხოველი ცხოველი ცხოველი ცხოველი
ცხენი ცხენი ცხენი ცხენი ცხენი ცხენი
ცხვარი ცხვარი ცხვარი ცხვარი ცხვარი
ცივი ცივი ცივი ცივი ცივი ცივი ცივი ცივი

ძმა ძმა ძმა ძმა ძმა ძმა ძმა ძმა ძმა ძმა ძმა
ძაღლი ძაღლი ძაღლი ძაღლი ძაღლი ძაღლი
ძროხა ძროხა ძროხა ძროხა ძროხა ძროხა
ძაფი ძაფი ძაფი ძაფი ძაფი ძაფი ძაფი ძაფი

წყალი წყალი წყალი წყალი წყალი წყალი
წვიმა წვიმა წვიმა წვიმა წვიმა წვიმა წვიმა
წერილი წერილი წერილი წერილი წერილი
წამალი წამალი წამალი წამალი წამალი

ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა ჭიქა
ჭიანჭველა ჭიანჭველა ჭიანჭველა
ჭიანჭველა
ჭურჭელი ჭურჭელი ჭურჭელი ჭურჭელი
ჭრელი ჭრელი ჭრელი ჭრელი ჭრელი

ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე ხე
ხელი ხელი ხელი ხელი ხელი ხელი ხელი
ხილი ხილი ხილი ხილი ხილი ხილი ხილი
ხმა ხმა ხმა ხმა ხმა ხმა ხმა ხმა ხმა ხმა

12.11

ჩაწერეთ პასუხები:

1. რა გქვია შენ?

.................................................................................

2. რა გვარის ხარ?

.............................................................................

3. სადაური ხარ?

.................................................................................

4. რამდენი წლის ხარ?

.......................................................................

12.12

**საქართველო** – ქართველი
**თურქეთი** – თურქი
**აზერბაიჯანი** – აზერბაიჯანელი
**სომხეთი** – სომეხი
**ამერიკა** – ამერიკელი
**გერმანია** – გერმანელი
**საფრანგეთი** – ფრანგი
**იტალია** – იტალიელი
**ჩინეთი** – ჩინელი
**იაპონია** – იაპონელი
**ინგლისი** – ინგლისელი
**რუსეთი** – რუსი

## 12.14 ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან...

| | | + | − |
|---|---|---|---|
| 1 | მე ვარ ქალაქში | X | |
| 2 | შენ არის სკოლაში | | X |
| 3 | ჩვენ ვართ გორში | | |
| 4 | ისინი არის ეზოში | | |
| 5 | შენ ვარ ქუთაისში | | |
| 6 | ჩვენ ვართ საქართველოში | | |
| 7 | მარიამი არის სკოლაში | | |
| 8 | მზია და მაია არის ეზოში | | |
| 9 | თქვენ ხართ მთაში | | |
| 10 | ისინი ვართ ქალაქში | | |
| 9 | ის არის სკოლაში | | |
| 10 | ისინი არიან სკოლაში | | |

## 12.15

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0 | . . . . | | 6 | . . . . |
| 1 | . . . . | | 7 | . . . . |
| 2 | . . . . | | 8 | . . . . |
| 3 | . . . . | | 9 | ცხრა |
| 4 | . . . . | | 10 | . . . . |
| 5 | . . . . | | | |

## 12.14 ებ

| | |
|---|---|
| თითი | .....თითები............... |
| ოთახი | .................................... |
| ხელი | .................................... |
| თხა | .................................... |
| ღამე | .................................... |
| უთო | .................................... |
| ქალაქი | .................................... |
| ლომი | .................................... |
| სათამაშო | .................................... |
| დროშა | .................................... |
| მამიდა | .................................... |
| დღე | .................................... |

| | |
|---|---|
| მამალი | .................................... |
| რვეული | .................................... |
| ქართველი | .................................... |
| ნავი | .................................... |
| ეზო | .................................... |
| ხე | .................................... |
| მთა | .................................... |
| ქვა | .................................... |

**12.15** შეადგინეთ დიალოგი ნახატის მიხედვით. დაწერეთ და წაიკითხეთ ხმამაღლა.

ნახატი I - 8

# XIII გაკვეთილი

**13.1**

გამარჯობათ. მე ნინო მქვია. ქუთაისიდან ვარ. ქუთაისი საქართველოშია. ვსწავლობ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მყავს დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ძმა. დედაჩემს ჰქვია ნინო. მამას ჰქვია რეზო. ბებიას ჰქვია ლალი, ბაბუას ჰქვია დავითი. ჩემს ძმას ჰქვია გიორგი.

ნახ. IV - 2

**13.2** წარმოთქვით ხმამაღლა:

დედა

მამა

ბებია

ბაბუა

და

ძმა

დეიდა

მამიდა

ბიცოლა

ბიძა

**13.3** დაწერეთ და წარმოთქვით ხმამაღლა:

დედაჩემს ჰქვია ...............................................................

მამაჩემს ჰქვია ...............................................................

ჩემს ძმას ჰქვია ...............................................................

ჩემს დას ჰქვია ...............................................................

ჩემს ბებიას ჰქვია ...............................................................

ჩემს ბაბუას ჰქვია ...............................................................

ჩემს დეიდას ჰქვია ...............................................................

ჩემს მამიდას ჰქვია ...............................................................

ჩემს ბიცოლას ჰქვია ...............................................................

ბიძაჩემს ჰქვია ...............................................................

**13.3** დააკვირდი!

ჩემი დედა → დედაჩემი

ჩემი მამა → მამაჩემი

ჩემი ძმა ▬▬▬▬▬▬▬▬

ჩემი და ▬▬▬▬▬▬▬▬

ჩემი ბებია → ბებიაჩემი

ჩემი ბაბუა → ბაბუაჩემი

ჩემი დეიდა → დეიდაჩემი

ჩემი მამიდა → მამიდაჩემი

ჩემი ბიცოლა → ბიცოლაჩემი

ჩემი ბიძა → ბიძაჩემი

**13.4** გადაწერე:

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

**13.5**

ჩაწერეთ სახელები ჩარჩოებში აქ მოცემული კითხვებისა და პასუხების შესაბამისად.

### ვინ? რა? ვისი?

- ვისი დეიდაა ნინო?
- ნინო რეზოს დეიდაა.
- ვისი მამაა აკაკი?
- აკაკი რეზოს მამაა.
- ვინ არის ექიმი?
- ნინო ექიმია.
- ვინ არის რეზოს დედა?
- რეზოს დედა არის ლალი.
- ვისი და არის დოდო?
- დოდო არის აკაკის და.
- ნინო ლალის რა არის?
- ნინო ლალის დაა.
- ვინ არის რეზოს და?
- რეზოს და არის ანა.
- ვისი მამიდა არის დოდო?
- დოდო არის ანას მამიდა.
- ვინ არის ანას ძმები?
- ანას ძმები არიან რეზო და ზაზა.
- ვინ არის ნინოს და?
- ნინოს და არის ........................
- ვინ არის ზაზას მამიდა?
- ზაზას მამიდა არის ........................
- ვისი და არის ექიმი?
- ექიმი არის .................... და.



# XIV გაკვეთილი

14.1

| | |
|---|---|
| მე ვარ | ჩვენ ვართ |
| შენ ხარ | თქვენ ხართ |
| ის არის | ისინი არიან |

| | |
|---|---|
| მე მაქვს | ჩვენ გვაქვს |
| შენ გაქვს | თქვენ გაქვთ |
| მას აქვს | მათ აქვთ |

14.2

– მე სტუდენტი ვარ. შენ?
– მეც სტუდენტი ვარ.
– ნინოც სტუდენტია?
– არა, ნინო მოსწავლეა.
– თქვენ ქართველები ხართ?
– **დიახ**, ჩვენ ქართველები ვართ.

14.3

– მე დიდი სახლი მაქვს. შენ?
– ჩემი სახლი პატარაა.
– ძაღლი გყავს?
– არა, ძაღლი არ მყავს
– ნინოს ჰყავს ძაღლი?
– არა, ნინოს კატა ჰყავს.

14.4 დიალოგი

– გამარჯობა ნინო. სად ხარ?
– ბათუმში ვარ.
– გივი სად არის?
– გივიც ბათუმშია.

– გამარჯობა ზაზა. სად ხარ?
– ქობულეთში ვარ.
– მაია სად არის?
– ისიც აქ არის.

– ეს რა არის?
– ეს სახლია.
– ის რა არის?
– ის ეზოა.
– იქ რა არის?
– იქ ბაღია.

14.5

| | |
|---|---|
| 11 | თერთმეტი |
| 12 | თორმეტი |
| 13 | ცამეტი |
| 14 | თოთხმეტი |
| 15 | თხუთმეტი |
| 16 | თექვსმეტი |
| 17 | ჩვიდმეტი |
| 18 | თვრამეტი |
| 19 | ცხრამეტი |
| 20 | ოცი |

45.6

| *მხოლობითი რიცხვი* | *მრავლობითი რიცხვი* |
|---|---|
| ის არის უნივერსიტეტში. | ისინი არიან უნივერსიტეტში. |
| შენ ხარ ექიმი. | ........................................ |
| ........................................ | ისინი არ არიან ბათუმში. |
| | მათ აქვთ სახლი. |
| მე არ მაქვს ეზო. | ........................................ |
| ........................................ | მოხუცები არიან ეზოში. |
| ........................................ | ჩვენ გვაქვს რვეული. |
| ის არის ქართველი. | ........................................ |
| შენ ხარ ფრანგი. | ........................................ |
| მე ბათუმში ვცხოვრობ | ........................................ |

14.7

# წელიწადის დროები

წელიწადში ოთხი დროა: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. დეკემბერი, იანვარი და თებერვალი ზამთრის თვეებია. ზამთარი ცივია, მარტი, აპრილი და მაისი გაზაფხულის თვეებია. გაზაფხული თბილია. ივნისი, ივლისი და აგვისტო ზაფხულის თვეებია. ზაფხული ცხელია. სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი შემოდგომის თვეებია. შემოდგომა გრილია.

| წელიწადის დრო | თვე |
|---|---|
| გაზაფხული | იანვარი |
| | თებერვალი |
| | მარტი |
| ზაფხული | აპრილი |
| | მაისი |
| | ივნისი |
| შემოდგომა | ივლისი |
| | აგვისტო |
| | სექტემბერი |
| ზამთარი | ოქტომბერი |
| | ნოემბერი |
| | დეკემბერი |

| | |
|---|---|
| კვირის დღეები | ორშაბათი |
| | სამშაბათი |
| | ოთხშაბათი |
| | ხუთშაბათი |
| | პარასკევი |
| | შაბათი |
| | კვირა |

## დააკავშირეთ:

| | |
|---|---|
| | თებერვალი |
| გაზაფხული | ივლისი |
| | აპრილი |
| | ოქტომბერი |
| ზაფხული | ნოემბერი |
| | იანვარი |
| | მაისი |
| შემოდგომა | აგვისტო |
| | მარტი |
| | დეკემბერი |
| ზამთარი | სექტემბერი |
| | ივნისი |

| | | |
|---|---|---|
| | | აგვისტო |
| თბილი | | მაისი |
| | | ივლისი |
| | | სექტემბერი |
| ცხელი | | მარტი |
| | | დეკემბერი |
| | | ივნისი |
| გრილი | | ნოემბერი |
| | | თებერვალი |
| ცივი | | აპრილი |
| | | ოქტომბერი |
| | | იანვარი |

| | |
|---|---|
| ნახატი: X - 1 | გაზაფხულდა. ბუნებამ გაიღვიძა. ხეები აყვავდა. დათბა. გაზაფხული ძალიან ლამაზი დროა. გაზაფხულის თვეებია: მარტი, აპრილი, მაისი. |
| ნახატი: X - 2 | ზაფხული ყველაზე ცხელი დროა. ზაფხულის თვეებია: მაისი, ივნისი, ივლისი. ამ დროს კარგია ზღვაზე ან მთაში ყოფნა. |
| ნახატი: X - 3 | დადგა შემოდგომა. ჯერ კიდევ თბილა, მაგრამ თანდათან აცივდა. სოფლებში მოსავალს იღებენ. ბალახები და ფოთლები გაყვითლდა. ხეებს ფოთლები სცვივა. |
| ნახატი: X - 4 | ზამთარი ყველაზე ცივი დროა. თოვლი მოდის, ყინავს. თოვლის მოსვლა ყველაზე მეტად ბავშვებს უხარიათ. ბავშვები თოვლში თამაშობენ, თოვლის ბაბუას აკეთებენ. ზამთრის თვეებია: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი. |




# XV გაკვეთილი

**15.1**

## საბა

საბა პატარა ბიჭია. ის ოთხი წლისაა. აქვს ქერა თმა და ლურჯი თვალები. უყვარს ჭამა. ბევრს ჭამს და სწრაფად იზრდება.

საბა ბათუმში ცხოვრობს. ჰყავს დედა, მამა, და, ძმა, ბებია და ბაბუა. ისინი ერთად ცხოვრობენ დიდ სახლში.

საბას მამიდა სოფელში ცხოვრობს. საბას უყვარს სოფელში წასვლა და თამაში.

– რამდენი წლისაა საბა?

– ............................................................

– როგორი ფერის თმა აქვს საბას?

– ............................................................

– როგორი ფერის თვალები აქვს საბას?

– ............................................................

– რომელ ქალაქში ცხოვრობს საბა?

– ............................................................

– რამხელა სახლში ცხოვრობს საბა?

– ............................................................

– სად ცხოვრობს საბას მამიდა?

– ............................................................

– რა უყვარს საბას?

............................................................

**15.2**

| | |
|---|---|
| მე მიყვარს | ჩვენ გვიყვარს |
| შენ გიყვარს | თქვენ გიყვართ |
| მას უყვარს | მათ უყვართ |

| | |
|---|---|
| მე ვჭამ | ჩვენ ვჭამთ |
| შენ ჭამ | თქვენ ჭამთ |
| ის ჭამს | ისინი ჭამენ |

| | |
|---|---|
| მე ვცხოვრობ | ჩვენ ვცხოვრობთ |
| შენ ცხოვრობ | თქვენ ცხოვრობთ |
| ის ცხოვრობს | ისინი ცხოვრობენ |

| | |
|---|---|
| მე მივდივარ | ჩვენ მივდივართ |
| შენ მიდიხარ | თქვენ მიდიხართ |
| ის მიდის | ისინი მიდიან |

## ადამიანი 13.4

### თავი:
თმა (თმები)
შუბლი,
წარბი (წარბები)
თვალი (თვალები)
ყური (ყურები)
ცხვირი
ლოყა (ლოყები)
პირი
ტუჩი (ტუჩები)
ნიკაპი

### ტანი:
კისერი,
ყელი,
მხარი,
ხელი (ხელები),
ფეხი (ფეხები),
მუცელი,
ზურგი.

## ადამიანის გარეგნობა

– რა ფერის თმა აქვს საბას?
– საბას აქვს ქერა თმა.
– მაიას?
– მაიას აქვს წაბლისფერი თმა.
– რა ფერის თმა აქვთ ნინოს და მზიას?
– ნინოს და მზიას აქვთ შავი თმა.
– რა ფერის თვალები აქვს საბას?
– საბას აქვს ლურჯი თვალები.
– რა ფერის თვალები აქვს მაიას?
– მაიას აქვს თაფლისფერი თვალები.
– ნინოს და მზიას?
– ნინოს და მზიას აქვთ შავი თვალები.
– მაია მაღალია. ნინო?
– ნინოც მაღალია.
– მზიაც მაღალია?
– არა, მზია დაბალია.
– რამდენია მაიას სიმაღლე?
– მაიას სიმაღლეა 180 სანტიმეტრი (1 მეტრი და 80 სანტიმეტრი).
– რამდენია ნინოს სიმაღლე?
– ნინოს სიმაღლეა 175 სანტიმეტრი (1 მეტრი და 75 სანტიმეტრი).
– რამდენია მზიას სიმაღლე?
– მზიას სიმაღლეა 160 სანტიმეტრი (1 მეტრი და 60 სანტიმეტრი).

## ფერი 15.5

| | |
|---|---|
| თეთრი | |
| შავი | |
| წითელი | |
| მწვანე | |
| ლურჯი | |
| ყვითელი | |

## 15.6 რიცხვები

| | | | |
|---|---|---|---|
| ოცი | ოცდაერთი | ოც-და-ერთი | 21 |
| ოცი | ოცდათორმეტი | ოც-და-თორმეტი | 32 |
| ორმოცი | ორმოცდაორი | ორმოც-და-ორი | 42 |
| ორმოცი | ორმოცდათერთმეტი | ორმოც-და-თერთმეტი | 51 |
| სამოცი | სამოცდაერთი | სამოც-და-ერთი | 61 |
| სამოცი | სამოცდათხუთმეტი | სამოც-და-თხუთმეტი | 75 |
| ოთხმოცი | ოთხმოცდაერთი | ოთხმოც-და-ერთი | 81 |
| ოთხმოცი | ოთხმოცდაჩვიდმეტი | ოთხმოც-და-ჩვიდმეტი | 97 |
| ასი | | | 100 |

7 ..........................................
13 ..........................................
22 ........ოცდაორი....................
25 ..........................................
36 ..........................................
43 ..........................................
53 ..........................................
54 ..........................................
56 ...ორმოცდათექვსმეტი
61 ..........................................
64 ..........................................
68 ..........................................
71 .....სამოცდათერთმეტი
75 ..........................................
79 ..........................................
84 ..........................................
87 ..........................................
95 ..........................................
98 ..........................................

## 15.7 ავტობიოგრაფია

მე, გიორგი ბერიძე დავიბადე 1991 წლის 26 მაისს, ქალაქ ბათუმში. 1997 წელს სწავლა დავიწყე ბათუმის № 1 საჯარო სკოლაში. სკოლა დავამთავრე 2009 წელს. ამავე წელს ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩავირიცხე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ახლა ვსწავლობ მესამე კურსზე. ვარ ფრიადოსანი. მიყვარს სპორტი და მუსიკა. ვთამაშობ კალათბურთს უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდში და ვუკრავ გიტარაზე სტუდენტურ ბენდში.

## 15.8 უპასუხეთ კითხვებს

– რომელ წელს დაიბადა გიორგი ბერიძე?

– გიორგი ბერიძე დაიბადა 1991 წელს..............

– რომელ თვესა და რიცხვში დაიბადა გიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ ქვეყანაში დაიბადა გიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ ქალაქში დაიბადა გიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ წელს დაიწყო სკოლაში სწავლა გიორგი ბერიძემ?

– ..............................................................................

..............................................................................

– სად დაიწყო სწავლა 1997 წელს გიორგი ბერიძემ?

– ..............................................................................

..............................................................................

– რა დაამთავრა 2009 წელს გიორგი ბერიძემ?

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ წელს ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები გიორგი ბერიძემ?

– ..............................................................................

..............................................................................

– სად დაიწყო სწავლა 2009 წელს გიორგი ბერიძემ?

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ უნივერსიტეტში სწავლობს გიორგი ბერიძე.

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ ფაკულტეტზე სწავლობს რიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ კურსზე სწავლობს გიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– როგორ სწავლობს გიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– სპორტის რომელი სახეობით არის გატაცებული გიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– რომელ გუნდში თამაშობს კალათბურთს გიორგი ბერიძე?

– ..............................................................................

..............................................................................

– რას აკეთებს გიორგი ბერიძე უნივერსიტეტის ბენდში?

– ..............................................................................

..............................................................................

## ახალი სიტყვები

15.9

სწავლა
საჯარო
ამავე
სახელმწიფო

ერთიანი
ეროვნული
გამოცდა
**ერთიანი ეროვნული გამოცდები**

სოციალური
მეცნიერება
ფაკულტეტი
**სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

ახლა
მესამე
კურსი
ფრიადოსანი
სპორტი
მუსიკა
კალათბურთი
ნაკრები
გუნდი
გიტარა
სტუდენტური
ბენდი
სახეობა
გატაცებული

**დავიბადე**
**დავიწყე**
**დავამთავრე**
**ჩავაბარე**
**ჩავირიცხე**

**ვსწავლობ**
**მიყვარს**
**ვთამაშობ**
**ვუკრავ**
**ვაკეთებ**
**საქმიანობს**

15.10

| ახლანდელი დრო<br>რას ვშვრები? | წარსული დრო<br>რა ვქენი? | |
|---|---|---|
| ვიბადები | დავიბადე | |
| ვიწყებ | დავიწყე | |
| ვამთავრებ | დავამთავრე | |
| ვაბარებ | ჩავაბარე | |
| ვირიცხები | ჩავირიცხე | |
| ვსწავლობ | | |
| მიყვარს | | |
| ვთამაშობ | | |
| ვუკრავ | | |
| ვაკეთებ | | |

15.11

| | |
|---|---|
| მე დავიბადე | ჩვენ დავიბადეთ |
| შენ დაიბადე | თქვენ დაიბადეთ |
| ის დაიბადა | ისინი დაიბადნენ |

| | |
|---|---|
| მე დავიწყე | ჩვენ დავიწყეთ |
| შენ დაიწყე | თქვენ დაიწყეთ |
| მან დაიწყო | მათ დაიწყეს |

| | |
|---|---|
| მე დავამთავრე | ჩვენ დავამთავრეთ |
| შენ დაამთავრე | თქვენ დაამთავრეთ |
| მან დაამთავრა | მათ დაამთავრეს |

| | |
|---|---|
| მე ჩავაბარე | ჩვენ ჩავაბარეთ |
| შენ ჩააბარე | თქვენ ჩააბარეთ |
| მან ჩააბარა | მათ ჩააბარეს |

| | |
|---|---|
| მე ჩავირიცხე | ჩვენ ჩავირიცხეთ |
| შენ ჩაირიცხე | თქვენ ჩაირიცხეთ |
| ის ჩაირიცხა | ისინი ჩაირიცხნენ |

| | |
|---|---|
| მე ვისწავლე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| მან | მათ |

| | |
|---|---|
| მე | ჩვენ |
| შენ შეიყვარე | თქვენ |
| მან | მათ |

| | |
|---|---|
| მე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| მან ითამაშა | მათ |

| | |
|---|---|
| მე | ჩვენ დავუკარით |
| შენ | თქვენ |
| მან | მათ |

| | |
|---|---|
| მე | ჩვენ |
| შენ | თქვენ გააკეთეთ |
| მან | მათ |

## რიგობითი რიცხვითი სახელი

15.12

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | I | პირველი | 1-ლი |
| 2 | II | მეორე | მე-2 |
| 3 | III | მესამე | მე-3 |
| 4 | IV | მეოთხე | მე-4 |
| 5 | V | მეხუთე | მე-5 |
| 6 | VI | მეექვსე | მე-6 |
| 7 | VII | მეშვიდე | მე-7 |
| 8 | VIII | მერვე | მე-8 |
| 9 | IX | მეცხრე | მე-9 |
| 10 | X | მეათე | მე-10 |

15.13 წაიკითხეთ დიალოგები ხმამაღლა:

1

– მე სტუდენტი ვარ. შენ?
– მე ვარ მოსწავლე.
– რომელ სკოლაში სწავლობ?
– ბათუმის № 1 საჯარო სკოლაში.
– რომელ კლასში ხარ?
– მეთორმეტე კლასში. შენ სად სწავლობ?
– შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
– რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?
– სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
– რომელ კურსზე ხარ?
– მეორე კურსზე ვარ.

2

– მე თბილისიდან ვარ. შენ?
– მეც თბილისიდან ვარ.
– რამდენი წლის ხარ?
– ოცი წლის ვარ.
– 1991 წელს დაიბადე?
– დიახ, 1991 წელს დავიბადე.
– შენი ძმა რომელ წელს დაიბადა?
– ჩემი ძმა 1996 წელს დაიბადა.
– შენი ძმა სკოლის მოსწავლეა?
– დიახ, იგი სკოლის მოსწავლეა.
– რომელ კლასშია?
– ჩემი ძმა მეათე კლასის მოსწავლეა.
– შენ სტუდენტი ხარ?
– არა, მე ქარხანაში ვმუშაობ.

3

– ვის უყვარს მუსიკა?
– მუსიკა მე და ლელას გვიყვარს.
– შენ და ლელა გიტარაზე უკრავთ?
– მე არა. გიტარაზე ლელა უკრავს.
– შენ?
– მე პიანინოზე ვუკრავ.
– ლელა არ უკრავს პიანინოზე?
– ლელა გიტარაზეც უკრავს და პიანინოზეც,

4

– გამარჯობა ნინო. სად ხარ?
– ბათუმში ვარ.
– გუშინ სად იყავი?
– გუშინაც ბათუმში ვიყავი
– ხვალ სად იქნები?
– ხვალ რიზეში ვიქნები.
– მაია სად არის?
– მაია თბილისშია.
– გუშინ სად იყო?
– გუშინ რუსთავში იყო.
– მაია ხვალაც თბილისში იქნება.
– დიახ, მაია ხვალაც თბილისში იქნება.
– სად არიან დათო და ზაზა?
– დათო და ზაზა ბათუმში არიან?
– ისინი ხვალ უნივერსიტეტში იქნებიან?
– დიახ, დათო და ზაზა ხვალ უნივერსიტეტში იქნებიან

# XVI გაკვეთილი

## 16.1 რომელი საათია?




– რომელი საათია?
– სამი საათია

~~რომელი ს თი არის ?~~

რომელი საათია?

| | |
|---|---|
| 10:15 | ათი საათი და თხუთმეტი წუთი // თერთმეტის თხუთმეტი წუთი |
| 10:30 | ათი საათი და ოცდაათი წუთი // თერთმეტის ნახევარი |
| 10:45 | ათი საათი და ორმოცდახუთი წუთი // თერთმეტს აკლია თხუთმეტი წუთი |

## 16.2

| ახლანდელი დრო |
|---|
| მე ვიწყებ თამაშს |
| შენ იწყებ თამაშს |
| ის იწყებს თამაშს |
| ჩვენ ვიწყებთ თამაშს |
| თქვენ იწყებთ თამაშს |
| ისინი იწყებენ თამაშს |
| **წარსული დრო** |
| მე დავიწყე თამაში |
| თქვენ დაიწყეთ თამაში |
| მათ დაიწყეს თამაში |
| ჩვენ დავიწყეთ თამაში |
| თქვენ დაიწყეთ თამაში |
| მათ დაიწყეს თამაში |

## 16.3 დრო

– დღე-ღამეში რამდენი საათია?
– დღეღამეში 24 საათია.
– საათში რამდენი წუთია?
– საათში 60 წუთია.
– წუთში რამდენი წამია?
– წუთში სამოცი წამია.

* * *

– რომელი საათია?
– ცხრა საათია.
– ზუსტად ცხრა საათია?
– არა, 8 საათი და 55 წუთია.
– რომელ საათზე იწყება ლექცია?
– ლექცია 9 საათზე იწყება.
– რომელ საათზე მიდიხარ უნივერსიტეტში?
– უნივერსიტეტში მივდივარ 8 საათსა და 30 წუთზე (ცხრის ნახევარზე)

## 16.4 რომელი საათია?

10:22 ......................................................................................................

14:15 ......................................................................................................

12:30 ......................................................................................................

5:38 ......................................................................................................

## დიალოგი 16.5

– სად არის 52-ე აუდიტორია?
– 52-ე აუდიტორია პირველ კორპუსშია, მესამე სართულზე.
– სად არის საკონფერენციო დარბაზი?
– საკონფერენციო დარბაზი პირველ კორპუსშია, 55-ე კაბინეტში.
– იქ ახლა კონფერენცია ტარდება?
– დიახ, იქ კონფერენცია ტარდება.
– ვინ ატარებს?
– გეოგრაფიის და ბიოლოგიის სპეციალობის სტუდენტები.
– რა თემაზე ტარდება კონფერენცია?
– ეკოლოგიის თემაზე.
– მოსამზადებელი ცენტრის სტუდენტების ლექცია სად ტარდება?
– მოსამზადებელი ცენტრის სტუდენტების ლექცია ტარდება 42-ე აუდიტორიაში.

## დიალოგი 16.7

– შეიძლება?
– მობრძანდი (შემოდი)
– გამარჯობათ. ლექციიდან გათავისუფლება მინდა.
– რატომ?
– ავად ვარ, ექიმთან უნდა წავიდე.
– რა გჭირს?
– სიცხე მაქვს.
– რომელ საათზე უნდა წახვიდე ექიმთან?
– ექიმთან 11 საათსა და 30 წუთზე უნდა (თორმეტის ნახევარზე) წავიდე.
– განცხადება დაწერე?
– დიახ, განცხადება დავწერე.

## დიალოგი 16.8

– რატომ დააგვიანეთ?
– ექიმთან ვიყავი.
– ექიმთან რატომ იყავით?
– სიცხე მქონდა.
– ახლა როგორ ხარ?
– ახლა კარგად ვარ.
– რატომ გააცდინა ნინომ ლექცია?
– ნინოც ავად იყო. მას ახლაც სიცხე აქვს.
– კიდევ ვინ აცდენს ლექციას?
– ლექციას კიდევ გიორგი და დათო აცდენენ.
– გიორგი და დათოც ავად არიან?
– არა, გიორგი და დათო ავად არ არიან.

## გადაწერეთ 16.9

ნინო და გიორგი ბათუმის უნივერსიტეტში სწავლობენ. გაკვეთილები 111-ე აუდიტორიაში ტარდება. ჯგუფში კიდევ რვა სტუდენტია. ქართულ ენას ორი მასწავლებელი ასწავლის.

დღეს მეცადინეობა 10 საათზე დაიწყო. დათომ დააგვიანა. ამიტომ მასწავლებელმა უსაყვედურა.

ნინომ ხმამაღლა წაიკითხა დავალება. მასწავლებელმა შეცდომები გაუსწორა და ექვსი ქულა დაუწერა. გიორგიმ ათი ქულა მიიღო.

დასვენებაზე ნინო და გიორგი ეზოში გავიდნენ. გარეთ თბილი ამინდი იყო, ამიტომ ეზოში ბევრი სტუდენტი იდგა.

## უპასუხეთ კითხვებს ✍ 16.10

ნინო და გიორგი ბათუმის უნივერსიტეტში სწავლობენ. გაკვეთილები 111-ე აუდიტორიაში ტარდება. ჯგუფში კიდევ რვა სტუდენტია. ქართულ ენას ორი მასწავლებელი ასწავლის.

დღეს მეცადინეობა 10 საათზე დაიწყო. დათომ დააგვიანა. ამიტომ მასწავლებელმა უსაყვედურა.

ნინომ ხმამაღლა წაიკითხა დავალება. მასწავლებელმა შეცდომები გაუსწორა და ექვსი ქულა დაუწერა. გიორგიმ ათი ქულა მიიღო.

დასვენებაზე ნინო და გიორგი ეზოში გავიდნენ. გარეთ თბილი ამინდი იყო, ამიტომ ეზოში ბევრი სტუდენტი იდგა.

I. ვინ სწავლობს ბათუმის უნივერსიტეტში?

.......................................................................................................

II. სად უტარდებათ გაკვეთილები ნინოს და გიორგის?

.......................................................................................................

III. სულ რამდენი სტუდენტია ნინოს და გიორგის ჯგუფში?

.......................................................................................................

IV. რამდენი მასწავლებელი ასწავლის ქართულ ენას?

.......................................................................................................

V. რომელ საათზე დაიწყო მეცადინეობა?

.......................................................................................................

VI. რატომ უსაყვედურა მასწავლებელმა დათოს?

.......................................................................................................

VII. ვინ წაიკითხა დავალება?

.......................................................................................................

VIII. ვინ სწავლობს უფრო კარგად?

.......................................................................................................

IX. რატომ დაუწერა დაბალი ქულა მასწავლებელმა ნინოს?

.......................................................................................................

X. სად წავიდნენ დასვენებაზე ნინო და გიორგი?

.......................................................................................................

XI. რატომ იდგა ეზოში ბევრი სტუდენტი?

.......................................................................................................

XII. როგორი ამინდი იყო გარეთ?

| 16.11 სურათის აღწერა: | |
|---|---|
| სურათი III - 1 | სურათი III - 2 |
| სურათი III - 3 | სურათი III - 4 |
| სურათი III - 5 | სურათი III - 6 |

17.1

✍ გადაწერეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს

# XVII გაკვეთილი

## ჩემი ოჯახი

ჩემი ოჯახი დიდია. ბაბუა, ბებია, მამა, დედა, ჩემი და, ჩემი ძმა და მე. ბებია და ბაბუა მოხუცები არიან. ისინი არ მუშაობენ, პენსიონერები არიან. დედაჩემი ექიმია. ის საავადმყოფოში მუშაობს, 45 წლისაა. მამაჩემი მასწავლებელია. ის სკოლაში მუშაობს. ის 50 წლისაა. მას გიორგი ჰქვია, დედაჩემს კი - ელენე. ჩემი და სკოლის მოსწავლეა. ის ძალიან ჭკვიანია, მაგრამ ცოტა ზარმაცია. მას მარიამი ჰქვია. ჩემი ძმა ადვოკატია. ის 23 წლისაა. მაღალი, შავგრემანი და სიმპათიურია. მე მქვია თეა. მე უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ჩვენ ბათუმში ვცხოვრობთ. ჩვენი მისამართია გორგასლის №17.

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

........................................................................................................................

უპასუხეთ კითხვებს:

I. რამდენი წევრია თეას ოჯახში?

........................................................................................................................

II. რამდენი ძმა ჰყავს თეას?

........................................................................................................................

III. ვინ არიან პენსიონერები თეას ოჯახში?

........................................................................................................................

IV. რა პროფესიისაა თეას დედა?

........................................................................................................................

V. სად მუშაობს თეას დედა?

VI. რამდენი წლისაა თეას დედა?

VII. რა პროფესიისაა თეას მამა?

VIII. სად მუშაობს თეას მამა?

IX. რამდენი წლისაა თეას მამა?

X. რა ჰქვია თეას მამას?

XI. ვის ჰქვია ელენე?

XII. ვინ არის სკოლის მოსწავლე და რა ჰქვია მას?

XIII. როგორ ახასიათებს თეა თავის ძმას?

XIV. რომელ ფაკულტეტზე სწავლობს თეა?

XV. რომელ ქალაქში ცხოვრობს თეას ოჯახი?

XVI თეას ძმა დაბალია?

XVII თეას ძმა მასწავლებელია?

XVIII თეას და ზარმაცია?

XIX თეას ოჯახი უნივერსიტეტის ქუჩაზე ცხოვრობს?

XX თეას მამა მასწავლებელია?

## 17.2 დიალოგი ავტობუსში

– გამარჯობათ. შეიძლება თქვენს გვერდით დავჯდე?
– დაბრძანდით, ეს ადგილი თავისუფალია.
– მე მქვია გიორგი. თქვენ?
– მე ნინო მქვია.
– ნინო, თქვენც ქობულეთში მიემგზავრებით?
– არა, მე ბათუმში მივემგზავრები.
– ბათუმში ცხოვრობთ?
– ბათუმში ვცხოვრობ. თქვენ?
– მე თბილისში ვცხოვრობ და ქობულეთში დასასვენებლად მივდივარ. იქ ბევრი მეგობარი მყავს.
– გიორგი, რამდენი წლის ხართ?
– ოცი წლის ვარ. შენ?
– მე 18 წლის ვარ, 1994 წელს დავიბადე.
– ბათუმში დაიბადე?
– დიახ, ბათუმში დავიბადე.
– და ან ძმა გყავს?
– დიახ, ერთი და მყავს, მას მზია ჰქვია.
– შენზე უფროსია?
– არა, უმცროსია.
– რამდენი წლისაა?
– თორმეტი წლისაა და სკოლაში სწავლობს.
– მშობლები სად მუშაობენ?
– დედა მასწავლებელია, მამა – ექიმი. შენი მშობლები სად მუშაობენ?
– დედა ეკონომისტია, მამა – ინჟინერი.
– გიორგი, შენ გყავს და ან ძმა?
– დიახ, ორი ძმა მყავს, ზაზა და ირაკლი.
– ისინი შენზე უფროსები არიან?
– ზაზა უფროსია, იგი 22 წლისაა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. ირაკლი სკოლის მოსწავლეა. ის 16 წლისაა.
– შენ სწავლობ თუ მუშაობ?
– სამედიცინო უნივერსიტერში ვსწავლობ. II კურსზე ვარ. შენ?
– მეც ვსწავლობ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე.
– პირველ კურსზე ხარ?
– დიახ, პირველი კურსის სტუდენტი ვარ.
– მუსიკა გიყვარს?
– დიახ, მუსიკა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით, კლასიკური მუსიკა. ვუკრავ პიანინოზე და ვიოლინოზე. შენ გიყვარს მუსიკა?
– მიყვარს, მაგრამ მე უფრო თანამედროვე მუსიკით ვარ გატაცებული.
– ბათუმში სად ცხოვრობ?
– რუსთაველის ქუჩაზე, 92-ე ნომერ სახლში. შენი სახლი ზღვასთან ახლოსაა?
– დიახ, ჩემი სახლი ზღვასთან ახლოსაა.

## 17.3

გიორგი ოცი წლისაა. იგი თბილისში ცხოვრობს. სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობს, მეორე კურსზე. მას ორი ძმა ჰყავს – ზაზა და ირაკლი. ზაზა 22 წლისაა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. ირაკლი 16 წლისაა. იგი სკოლის მოსწავლეა. გიორგის დედა მასწავლებელია, მამა – ექიმი. გიორგის თანამედროვე მუსიკა უყვარს.

## 17.4

მე .......................... წლის ვარ. ..............................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

..............................................................................................

**17.5** ახალი სიტყვები

## სად?

|  |  |  |  |
|---|---|---|---|
| გვერდით | წინ | უკან | შუაში |

**17.6** დიალოგი უნივერსიტეტში

– რომელ აუდიტორიაში ტარდება ლექციები?
– ლექციები ტარდება 42-ე აუდიტორიაში.
– რამდენი სტუდენტია თქვენს ჯგუფში?
– ჩვენს ჯგუფში 20 სტუდენტია.
– ვინ ზის პირველ მერხზე ფანჯარასთან?
– პირველ მერხზე ფანჯარასთან სხედან გივი და ირაკლი.
– სად ზის ნინო?
– ნინო ზის შუა რიგში, მესამე მერხზე.
– ვინ ზის ნინოს გვერდით?
– ნინოს გვერდით ზის დათო.
– ვინ ზის ნინოს წინ?
– ნინოს წინ ზის გიორგი.
– ვინ ზის ნინოს უკან?
– ნინოს უკან ზის ოთარი

**17.7**

|  |  |  |
|---|---|---|
| დგას | ზის | სხედან |

|  |  |
|---|---|
| წევს | წვანან |

**17.8**

ელენემ ლექციაზე დააგვიანა. მან აუდიტორიის კარზე დააკაკუნა, კარი გააღო და თავაზიანად ჰკითხა მასწავლებელს:

– შეიძლება შემოვიდე?

– შემოდი, – უთხრა მასწავლებელმა.

ელენე აუდიტორიაში შევიდა და კართან გაჩერდა.

– დაჯექი, – უთხრა მასწავლებელმა.

ელენე უკანა მერხისკენ წავიდა.

– წინა მერხზე დაჯექი, – უთხრა მასწავლებელმა.

ელენე პირველ მერხზე დაჯდა, მაიას გვერდით.

**17.9** ახალი სიტყვები

| | |
|---|---|
| წინ<br>უკან<br>გვერდით<br>შუაში | დასასვენებლად<br>თავაზიანად<br>განსაკუთრებით<br>თანამედროვე<br>გატაცებული<br>ან |

| | |
|---|---|
| ეკონომისტი | ჯგუფი |
| ინჟინერი | რიგი |
| ვიოლინო | მგზავრობა |

| | | |
|---|---|---|
| ზმნები: | დგას<br>ზის<br>წევს<br>მგზავრობს | აკაკუნებს<br>ეკითხება<br>ეუბნება<br>ჩერდება |

**17.10**

| | |
|---|---|
| მე ვდგავარ | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე დავდექი | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე ვზივარ | ჩვენ ვსხედვართ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე ვჯდები | ჩვენ ვსხდებით |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე დავჯექი | ჩვენ დავსხედით |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე ვწევარ | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი წვანან |

| | |
|---|---|
| მე დავწექი | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

## ✍ 17.11

– ნინო და ელენე ................................ ეზოში (*ზის, ზიან, სხედან*)

– თინა სკამზე ................................ (*დაჯდა, დასხდნენ, ზიხარ*)

– სად ................................ ნინო? (*მივემგზავრები, მიემგზავრება*)
– ნინო იტალიაში ................................ (*მიემგზავრებიან, მიემგზავრება*)

– რით ................................ აკაკი? (*მგზავრობს, მიემგზავრობს*)
– აკაკი ავტობუსით ................................ (*მგზავრობენ, მგზავრობს*)

– თამაზი კარზე ................................ (*ვაკაკუნებ, აკაკუნებს*)

– ბათუმიდან ქუთაისამდე ჩვენ ავტობუსით ................................ (*ვიმგზავრეთ, გაემგზავრა*)

– რომელი საათია? ................................ (*გკითხე, მკითხა*) სოსომ.
– თერთმეტის ათი წუთია, ................................ (*მითხრა, ვუთხარი*) მან.

– რა ................................ (*უთხარი, უთხრა*) დოდოს? – ................................ (*გკითხე, მკითხა, ჰკითხა*) მაიამ თეას.

– სტუდენტები მაგიდასთან ................................ (*ვზივართ, სხედან*)

– ბესოს გვერდით აკაკი ................................ (*ზის, სხედან*), უკან ზაზა და სოსო (*ზის, სხედან*)

– თამარმა ხმამაღლა ................................ (*წაიკითხა, კითხულობს*) დავალება.

– შოთა ................................ (*დავიბადე, დაიბადა*) ბათუმში.

– მე და ბესო ................................ (*ვამთავრებთ, დავამთავრეთ*) უნივერსიტეტს.

– მე და თეამ ................................ (*ვამთავრებთ, დავამთავრეთ*) უნივერსიტეტი.

გიორგიმ ................................ (*აბარებს, ჩააბარა*) გამოცდა.

– გუშინ მე და ზაზა ქობულეთში ................................ (*მივდივართ, წავედით*)

## 🔊 17.12 ზმნები

| | |
|---|---|
| მე ვმგზავრობ | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე მივემგზავრები | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე ვიმგზავრე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| მან | მათ |

| | |
|---|---|
| მე გავემგზავრე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე ვაკაკუნებ | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე დავაკაკუნე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| მან | მათ |

| | |
|---|---|
| მე ვეკითხები | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე შევეკითხე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე ვკითხე | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| მან | მათ |

| | |
|---|---|
| მე ვეუბნები | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე ვუთხარი | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| მან | მათ |

| | |
|---|---|
| მე ვჩერდები | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

| | |
|---|---|
| მე გავჩერდი | ჩვენ |
| შენ | თქვენ |
| ის | ისინი |

18.1

# არსებითი სახელი

XVIII გაკვეთილი

საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ჰქვია.
არსებითი სახელია ყველა ის სიტყვა, რომელსაც დაესმის კითხვები: ვინ? რა?

| | |
|---|---|
| ☞ | „ვინ" კითხვა დაესმის მხოლოდ ადამიანთა სახელებს. |
| | „რა" კითხვა დაესმის ყველა დანარჩენ არსებით სახელს |

| ვინ? | რა? |
|---|---|
| დედა | სახლი |
| მამა | ეზო |
| ბიჭი | ატამი |
| გოგო | ამერიკა |
| მასწავლებელი | ძროხა |
| ინჟინერი | ირემი |

არსებით სახელს ორი რიცხვი აქვს: **მხოლობითი** და **მრავლობითი**. მხოლობითი აღნიშნავს ერთ საგანს, მრავლობითი – ერთზე მეტს. მრავლობითის ნიშანია „ებ" სუფიქსი.

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| დედა | დედები |
| მამა | მამები |
| ბიჭი | ბიჭები |
| სახლი | სახლები |
| ეზო | ეზოები |
| ძროხა | ძროხები |

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| აქ სახლია | აქ სახლებია |
| ის მასწავლებელია | ............................ |
| იქ სკოლაა | ............................ |
| ეს წიგნია | ............................ |
| მეზობელი მოვიდა | ............................ |
| ძველი სახლი | ............................ |
| ბესოს ბურთი | ............................ |
| მზიას კატა | ............................ |
| ფორთოხლის ხე | ............................ |
| ეს ჩიტია | ............................ |

18.2

## ჩემი ოჯახი

ჩემი ოჯახი დიდია. ბაბუა, ბებია, მამა, დედა, ჩემი და, ჩემი ძმა და მე. ბებია და ბაბუა მოხუცები არიან. ისინი არ მუშაობენ, პენსიონერები არიან. დედაჩემი ექიმია. ის საავადმყოფოში მუშაობს, 45 წლისაა. მამაჩემი მასწავლებელია. ის სკოლაში მუშაობს. ის 50 წლისაა. მას გიორგი ჰქვია, დედაჩემს კი - ელენე. ჩემი და სკოლის მოსწავლეა. ის ძალიან ჭკვიანია, მაგრამ ცოტა ზარმაცია. მას მარიამი ჰქვია. ჩემი ძმა ადვოკატია. ის 23 წლისაა. მაღალი, შავგრემანი და სიმპათიურია. მე მქვია თეა. მე უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ჩვენ ბათუმში ვცხოვრობთ. ჩვენი მისამართია გორგასლის №17.

| ვინ? | რა? |
|---|---|
| ბაბუა | ოჯახი |
| | |

18.3

| | | | |
|---|---|---|---|
| ☞ | ვინ არის? | ➡ | ვინაა? |
| | რა არის? | ➡ | რაა? |
| | მასწავლებელი არის | ➡ | მასწავლებელია |
| | ეს არის ხე | ➡ | ეს ხეა |
| | სახლი არის დიდი | ➡ | სახლი დიდია |
| | ნინო სად არის? | ➡ | ნინო სადაა? |

## 18.4 უარყოფა

არა, არ

– შენ მოსწავლე ხარ?
– არა. მე მოსწავლე არ ვარ

– ის კაცი ექიმია?
– არა, ის კაცი ინჟინერია.

– დღეს უნივერსიტეტში მიდიხარ?
– არ მივდივარ.

– ექიმი კაბინეტშია?
– არა, ექიმი კაბინეტში არაა.

## 18.5

| | |
|---|---|
| მე არ ვარ | ჩვენ არ ვართ |
| შენ არ ხარ | თქვენ არ ხართ |
| ის არ არის | ისინი არ არიან |

| | | | |
|---|---|---|---|
| ☞ | ის არ არის | ➡ | ის არაა |
| | ისინი არ არიან | ➡ | ისინა არ არიან |
| | აქ არ არის ეზო | ➡ | აქ არაა ეზო |
| | ეს არ არის ხე | ➡ | ეს არაა ხე |

## 18.6 შინაური ცხოველები

| | |
|---|---|
| XIX - 1 | XIX - 2 |
| XIX - 3 | XIX - 4 |
| XIX - 5 | XIX - 6 |

| 18.7 გარეული ცხოველები | |
|---|---|
| XXI - 1 | XXI - 2 |
| XXI - 3 | XXI - 4 |
| XXI - 5 | XXI - 6 |

| 18.8 თევზები | |
|---|---|
| XXIII - 2 | XXIII - 3 |

| 18.9 | ფრინველები |
|---|---|
| XX - 1 ქათამი | XX - 2 მამალი |
| XX - 3 ინდაური | XX - 4 იხ ვი |
| XXII - 1 არწივი | XXII - 3 მერცხალი |

19.1

## სოსოს ბინა

ჩვენი ბინა მრავალსართულიანი სახლის მეოთხე სართულზეა. იგი არაა დიდი: სასტუმრო ოთახი, საძინებელი, კაბინეტი, ჩემი ოთახი, სამზარეულო და სააბაზანო.

სასტუმრო ოთახში გვაქვს ტელევიზორი, სავარძლები, დივანი, პიანინო, კედელზე ჰკიდია დიდი საათი. აქ ჩვენ ვისვენებთ, ვუყურებთ ტელევიზორს, ვმასპინძლობთ სტუმრებს. სასტუმრო ოთახში ვუკრავ პიანინოზე.

საძინებელში ორი საწოლი და ერთი დიდი კარადაა. საწოლებთან ტუმბოებია.

კაბინეტში დევს საწერი მაგიდა, სკამი, სავარძლები და წიგნის კარადები. მაგიდაზე აწყვია ლექსიკონები, ჟურნალები, რვეულები, წიგნაკები, ავტოკალმები და ფანქრები. კარადებში ბევრი წიგნია. კაბინეტში მამა მუშაობს: წერს ან კითხულობს.

სამზარეულოში დევს მაგიდა და სკამები, ასევე გაზქურა და მაცივარი. კედელზე ჰკიდია თაროები. აქ დედა საჭმელს აკეთებს. სამზარეულოში ვსაუზმობთ, ვსადილობთ და ვვახშმობთ.

სააბაზანოში არის აბაზანა, სარეცხი მანქანა. კედელზე ჰკიდია დიდი სარკე. სააბაზანოში ვიღებთ შხაპს.

ყველაზე მეტად ჩემი ოთახი მიყვარს. ის პატარაა. აქ დევს საწოლი, მაგიდა და სკამი, ერთი რბილი სავარძელი და ტანსაცმლის კარადა. მაგიდაზე დევს კომპიუტერი. აქ მე ვმასპინძლობ ჩემს მეგობრებს, ვკითხულობ, ვსწავლობ გაკვეთილებს, ვთამაშობ კომპიუტერზე.

19.2

| | |
|---|---|
| XIV - 6 | XIV - 1 |
| კ............................ | მ............................ |
| XXV - 3 | XIV - 4 |
| მ............................ | ს............................ |
| XXV - 5 | IV - 1 -დან მხოლოდ ტელევიზორი ამოიჭრას |
| ა............................ | ტ............................ |
| XXV - 7 | XIV - 7 |
| გ............................ | ს............................ |
| XIV - 8 | XXIV - 10 |
| დ............................ | კ............................ |
| XXV - 11 | IX - 1 |
| ს............................ | ს............................ |

✍ **უპასუხეთ კითხვებს**

– რომელ სართულზეა სოსოს ბინა?

– ……………………………………………………

– სოსოს ბინა დიდია?

– ……………………………………………………

– რამდენი ოთახია სოსოს ბინაში?

– ……………………………………………………

– სად დევს ტელევიზორი?

– ……………………………………………………

– სად დევს სავარძლები?

– ……………………………………………………

– სად დევს დივანი?

– ……………………………………………………

– სად დევს პიანინო?

– ……………………………………………………

– სად ჰკიდია საათი?

– ……………………………………………………

– სად ბანაობენ?

– ……………………………………………………

– სად მასპინძლობენ სტუმრებს?

– ……………………………………………………

– სად უყურებენ ტელევიზორს?

– ……………………………………………………

– რას აკეთებს სოსოს ოჯახი სასტუმრო ოთახში?

– ……………………………………………………

– რას აკეთებს სოსოს ოჯახი სამზარეულოში?

– ……………………………………………………

– ვინ აკეთებს საჭმელს?

– ……………………………………………………

– სად აკეთებს დედა საჭმელს?

– ……………………………………………………

– სად ვახშმობს სოსოს ოჯახი?

– ……………………………………………………

– სად დევს საწოლი?

– ……………………………………………………

– სად დევს ტუმბო?

– ……………………………………………………

– სად დევს კარადა?

– ……………………………………………………

– რა დევს კაბინეტში?

– ……………………………………………………

– სად აწყვია ლექსიკონები?

– ……………………………………………………

– ვინ მუშაობს კაბინეტში?

– ……………………………………………………

– სად დევს მაცივარი?

– ……………………………………………………

– სად დევს გაზქურა?

– ……………………………………………………

– სად საუზმობენ?

– ……………………………………………………

– სად ჰკიდია სარკე?

– ……………………………………………………

– სად დევს აბაზანა?

– ……………………………………………………

– რომელი ოთახი უყვარს სოსოს ყველაზე მეტად?

– ……………………………………………………

– რას აკეთებს სოსო თავის ოთახში?

– ……………………………………………………

– სოსოს ოთახი დიდია?

– ……………………………………………………

– სად მასპინძლობს სოსო თავის მეგობრებს?

– ……………………………………………………

– რომელ ოთახში დევს კომპიუტერი?

– ……………………………………………………

– სად სწავლობს გაკვეთილებს სოსო?

– ……………………………………………………

**19.3**

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. IV - 1

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

19.4

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. IV - 4

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

# XX გაკვეთილი

## 20.1 მომავალი დრო: რას ვიზამ?

| ახლანდელი | წარსული | მომავალი |
|---|---|---|
| ვარ | ვიყავი | **ვიქნები** |
| მყავს | მყავდა | **მეყოლება** |
| მაქვს | მქონდა | **მექნება** |
| ვცხოვრობ | ვცხოვრობდი | **ვიცხოვრებ** |
| ვმუშაობ | ვმუშაობდი | **ვიმუშავებ** |
| ვიზრდები | ვიზრდებოდი | **გავიზრდები** |
| მიყვარს | მიყვარდა | **მეყვარება** |
| მივდივარ | მივდიოდი | **წავალ** |
| ვჭამ | ვჭამდი | **შევჭამ** |
| ვსვამ | ვსვამდი | **დავლევ** |
| ვიბადები | ვიბადებოდი | **დავიბადები** |
| ვიწყებ | ვიწყებდი | **დავიწყებ** |
| ვამთავრებ | ვამთავრებდი | **დავამთავრებ** |
| ვაბარებ | ვაბარებდი | **ჩავაბარებ** |
| ვირიცხები | ვირიცხებოდი | **ჩავირიცხები** |
| ვსწავლობ | ვსწავლობდი | **ვისწავლი** |
| ვთამაშობ | ვთამაშობდი | **ვითამაშებ** |
| ვუკრავ | ვუკრავდი | **დავუკრავ** |
| ვაკეთებ | ვაკეთებდი | **გავაკეთებ** |
| ვაგრძელებ | ვაგრძელებდი | **გავაგრძელებ** |
| ვწერ | ვწერდი | **დავწერ** |
| ვკითხულობ | ვკითხულობდი | **წავიკითხავ** |
| ვდგავარ | ვიდექი | **დავდგები** |
| ვზივარ | ვიჯექი | **დავჯდები** |
| ვწევარ | ვიწექი | **დავწვები** |
| ვმგზავრობ | ვმგზავრობდი | **ვიმგზავრებ** |
| ვაკაკუნებ | ვაკაკუნებდი | **დავაკაკუნებ** |
| ვეკითხები | ვეკითხებოდი | **შევეკითხები** |
| ვეუბნები | ვეუბნებოდი | **ვეტყვი** |
| ვჩერდები | ვჩერდებოდი | **გავჩერდები** |
| ვკიდივარ | ვეკიდე | **დავეკიდები** |
| ვისვენებ | ვისვენებდი | **დავისვენებ** |
| ვუყურებ | ვუყურებდი | **ვუყურებ** |
| ვსაუზმობ | ვსაუზმობდი | **ვისაუზმებ** |
| ვსადილობ | ვსადილობდი | **ვისადილებ** |
| ვვახშმობ | ვვახშმობდი | **ვივახშმებ** |
| ვმსაპინძლობ | ვმასპინძლობდი | **ვუმასპინძლებ** |
| ვსწავლობ | ვსწავლობდი | **ვისწავლი** |
| ვპასუხობ | ვპასუხობდი | **ვუპასუხებ** |
| ვემზადები | ვემზადებოდი | **მოვემზადები** |
| ვსვამ | ვსვამდი | **დავსვამ** |

## 20.2

ზმნის ფორმები

| კითხვა | ზმნა | დრო |
|---|---|---|
| რას ვშვრები? | ვწერ | ახლანდელი |
| რას ვშვრებოდი | ვწერდი | წარსული |
| რას ვშვრებოდე? | ვწერდე | ახლანდელი |
| რას ვიზამ | დავწერ | მომავალი |
| რას ვიზამდი? | დავწერდი | წარსული |
| რას ვიზამდე? | დავწერდე | მომავალი |
| რა ვქენი? | დავწერე | წარსული |
| რა ვქნა | დავწერო | მომავალი |
| რა მიქნია? | დამიწერია | წარსული |
| რა მექნა | დამეწერა | წარსული |
| რა მექნას | დამეწეროს | მომავალი |

✍

0. ნინო ბათუმში ცხოვრობს.

.......... *ნინო ბათუმში **იცხოვრებს*** ..........

1. დათო და გივი ავტობუსით მგზავრობენ.

..........

2. ჩვენ წყალს ვსვამთ.

..........

3. მზია უკანა მერხზე ზის.

..........

4. ლელა ოთახის კარზე აკაკუნებს.

..........

5. ათი დღე ქობულეთში ვისვენებდი.

..........

6. სახლში წასასვლელად ვემზადები.

..........

7. სამზარეულოში ვიჯექი და ვსადილობდი.

..........

8. გუშინ საშინაო დავალებას ვწერდი.

..........

9. შარშან ბათუმში ვიყავი.

..........

10. სკოლაში მასწავლებლად ვმუშაობ.

..........

როდის?

**20.3**

• გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ.

| | | |
|---|---|---|
| 16 სექტემბერი | *გუშინწინ* | ორშაბათი |
| 17 სექტემბერი | *გუშინ* | სამშაბათი |
| 18 სექტემბერი | *დღეს* | ოთხშაბათი |
| 19 სექტემბერი | *ხვალ* | ხუთშაბათი |
| 20 სექტემბერი | *ზეგ* | პარასკევი |

• შარშან, წელს, გაისად.

| | |
|---|---|
| 2013 წელი | *შარშან* |
| 2014 წელი | *წელს* |
| 2015 წელი | *გაისად* |




**20.4**

| ✍ | |
|---|---|
| 0 | **მე ხარ ქალაქში** |
| | *მე ვარ ქალაქში* |
| 0 | **შენ არის სკოლაში** |
| | |
| 1 | ვანოს ჰყავს თოხი |
| | |
| 2 | დავითი აქვს ქალაქში |
| | |
| 3 | ლელას სოფელში სახლი ჰყავს. |
| | |
| 4 | ნინო და ანა მასწავლებლები არის. |
| | |
| 5 | გუშინ არის შაბათი. |
| | |
| 6 | გაისად იყო 2011 წელი. |
| | |
| 7 | დღეს იყო ახალი წელი.. |
| | |

**20.5**

| | |
|---|---|
| გუშინ იყო ხუთშაბათი. რა დღე იქნება ზეგ? | *კვირა* |
| დღეს შაბათია. რა დღე იყო გუშინ? | |
| გუშინწინ იყო 21 მაისი. რა დღე იქნება ხვალ? | |
| დღეს 12 მარტია. როდის იქნება 13 მარტი? | |
| ზეგ იქნება ოთხშაბათი. რა დღე იყო გუშინწინ? | |
| წელს 2012 წელია. რომელი წელი იქნება გაისად? | |
| დღეს კვრაა. რა დღე იქნება ხვალ? | |
| დღეს კვირაა. რა დღე იყო გუშინ? | |
| გუშინწინ იყო პარასკევი. რა დღეა დღეს? | |
| 12 ნოემბერი იყო ხუთშაბათი. რა დღე იყო 10 ნოემბერი? | |
| დღეს ხუთშაბათია. რა დღე იყო გუშინწინ? | |
| ხვალ სამშაბათია. რა დღე იქნება ზეგ? | |
| ზეგ ოთხშაბათია. რა დღე იყო გუშინწინ? | |
| ზეგ ოთხშაბათია. რა დღეა დღეს? | |
| დღეს 1 აპრილია. რა რიცხვი იყო გუშინ? | |
| დღეს 3 იანვარია. რა დღე იყო გუშინწინ. | |
| დღეს 11 მარტია, შაბათი. რა დღე და რიცხვი იქნება ზეგ? | |
| ხვალ 22 აგვისტოა, ხუთშაბათი. რა დღე და რიცხვი იყო გუშინწინ? | |
| გაისად 2015 წელია. რომელი წელი იყო შარშან? | |
| დღეს შაბათია. როდის იქნება ორშაბათი? | |
| გუშინ იყო სამშაბათი. როდის იქნება ხუთშაბათი? | |
| დღეს კვირაა. როდის იქნება სამშაბათი? | |

**20.6**

# ავტობიოგრაფია

დიალოგი გამეორებისათვის

I. წაიკითხეთ მოცემული ტექსტი წყვილებში.
II. შეცვალეთ აქ მოცემული პასუხები თქვენი ავტობიოგრაფიით.
III. მოიფიქრეთ და დაუსვით მეგობარს კითხვა, რომელიც აქ არაა მოცემული.

| I | II |
|---|---|
| რა გქვია? | რეზო. |
| რა გვარის ხარ? | ჩემი გვარია გელაშვილი. |
| როდის და სად დაიბადე? | დავიბადე 1992 წლის 11 მაისს, ქალაქ ბათუმში. |
| სად ცხოვრობ? | ვცხოვრობ ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა № 64, მე-7 სართული, ბინა 42. |
| რომელ სკოლაში სწავლობდი და როდის? | 1998-2010 წლებში ვსწავლობდი ბათუმის № 2 საჯარო სკოლაში. |
| რას საქმიანობდი სკოლის დამთავრების შემდეგ? | სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. |
| ახლა რას საქმიანობ? | ახლა მეორე კურსის სტუდენტი ვარ. |
| უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რას აპირებ? | უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვიმუშავებ სკოლაში, ისტორიის მასწავლებლად. |
| სპორტის რომელი სახეობა გიყვარს? | ფეხბურთი და კალათბურთი. |
| როგორი მუსიკა გიყვარს? | მიყვარს კლასიკური მუსიკა. ასევე სიამოვნებით ვუსმენ ჯაზს. |
| შეგიძლია ცეკვა, სიმღერა ან დაკვრა? | შემიძლია ცეკვაც და სიმღერაც. ვუკრავ პიანინოსა და გიტარაზე |
| შენს ჯგუფში რამდენი სტუდენტია? | ჩემს ჯგუფში 20 სტუდენტია |
| კარგად სწავლობ თუ ცუდად? | კარგად ვსწავლობ. ფრიადოსანი ვარ. |
| რას საქმიანობენ შენი მშობლები? | დედა ექიმია, მამა ინჟინერი. |
| და ან ძმა გყავს? | მყავს ორი და და ერთი ძმა. |
| ისინი შენზე უფროსები არიან თუ უმცროსები? | ძმა და ერთი და უფროსები არიან. მეორე და ჩემზე უმცროსია. |
| რა ჰქვია შენს ძმას და საქმიანობს იგი? | ჩემს ძმას ჰქვია დათო. იგი ქარხანაში მუშაობს. |
| რა ჰქვიათ შენს დებს და რას საქმიანობენ ისინი? | უფროს დას ჰქვია მზია. იგი მათემატიკის მასწავლებელია. უმცროს დას ჰქვია ელენე. იგი სკოლაში დადის, მე-8 კლასის მოსწავლეა. |
| ბებია ან ბაბუა გყავს? | მყავს. მამაჩემის მშობლები ჩვენთან ერთად ცხოვრობენ. დედაჩემის მშობლები სოფელში ცხოვრებენ. ისინი მოხუცები არიან. |
| | |

20.7

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. IV - 6

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

20.8

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. IV - 1

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

21.1

## გიორგის ერთი დღე

| | |
|---|---|
| | • ისწავლეთ ტექსტი ზეპირად |

გიორგი დილით ადრე, შვიდ საათზე იღვიძებს. დგება, საპნით და ცივი წყლით იბანს ხელს და პირს. კბილებს ჯაგრისით იხეხავს და საუზმობს. მერე სკოლაში მიდის 48-ე ნომერი ავტობუსით. სკოლაში მეცადინეობა 9 საათზე იწყება. მას ყოველდღე 5 ან 6 გაკვეთილი აქვს. შუადღისას, გაკვეთილების დასრულების შემდეგ გიორგი სახლში მიდის. 14 საათზე სადილობს და ეზოში ჩადის სათამაშოდ. მერე თავის ოთახში მეცადინეობს. საღამოს 7 საათზე ვახშმობს და დაძინებამდე ტელევიზორს უყურებს. 21 საათზე გიორგი იძინებს

| | |
|---|---|
| | • წაიკითხეთ დიალოგი წყვილებში, ისწავლეთ კითხვები და პასუხები ზეპირად. |
| რომელ საათზე იღვიძებს გიორგი? | გიორგი 7 საათზე იღვიძებს. |
| რას აკეთებს გიორგი გაღვიძების შემდეგ? | გაღვიძების შემდეგ გიორგი დგება, იბანს ხელს და პირს, იხეხავს კბილებს. |
| რისთვის იყენებს გიორგი საპონს? | გიორგი საპონს იყენებს ხელის და პირის დასაბანად. |
| რისთვის იყენებს გიორგი ჯაგრისს? | გიორგი ჯაგრისს იყენებს კბილების გასახეხად. |
| რას აკეთებს გიორგი პირის დაბანისა და კბილების გახეხვის მერე? | პირის დაბანისა და კბილების გახეხვის მერე გიორგი საუზმობს. |
| რომელ საათზე იწყება გიორგის სკოლაში მეცადინეობა? | გიორგის სკოლაში მეცადინეობა 9 საათზე იწყება. |
| რით მიდის სკოლაში გიორგი? | გიორგი სკოლაში მიდის 48-ე ნომერი ავტობუსით. |
| რამდენი გაკვეთილი აქვს გიორგის ყოველდღე? | გიორგის ყოველდღე 5 ან 6 გაკვეთილი აქვს. |
| რას აკეთებს გიორგი გაკვეთილების დასრულების მერე? | გაკვეთილების დასრულების მერე გიორგი სახლში მიდის. |
| რომელ საათზე სადილობს გიორგი? | გიორგი სადილობს 14 საათზე. |
| რას აკეთებს გიორგი სადილის შემდეგ? | სადილის შემდეგ გიორგი ეზოში ჩადის სათამაშოდ. |
| რას აკეთებს გიორგი თამაშის შემდეგ? | თამაშის შემდეგ გიორგი მეცადინეობს. |
| სად მეცადინეობს გიორგი? | გიორგი თავის ოთახში მეცადინეობს. |
| რომელ საათზე ვახშმობს გიორგი? | გიორგი საღამოს 7 საათზე ვახშმობს. |
| როდის უყურებს ტელევიზორს გიორგი? | გიორგი ტელევიზორს ვახშმის მერე, დაძინებამდე უყურებს. |
| რომელ საათზე იძინებს გიორგი? | გიორგი 21 საათზე იძინებს. |

| 21.2 | | |
|---|---|---|
| IX - 1 | IX - 2 | IX - 3 |
| IX - 4 | IX - 5 | IX - 6 |
| IX - 7 | IX - 8 | IX - 9 |

| 21.3 | XVIII - 1 | XVIII - 2 | XVIII - 3 |
|---|---|---|---|
| XVIII - 4 | XVIII - 5 | XVIII - 6 | XVIII - 7 |
| XVIII - 8 | XVIII - 9 | XVIII - 10 | XVIII - 11 |

21.4

### საუზმე

გიორგი სამზარეულოში მაგიდასთან ზის და საუზმობს. მაგიდაზე დევს კარაქიანი პური, ყველი და თაფლი. ასევე, ჩაის ჭიქა.

– ჩაი დაგისხა? – ჰკითხა გიორგიმ დედას.

– დიახ, დამისხი ჩაი, – უპასუხა გიორგიმ.

დედამ ჩაი დაუსხა და გიორგის შაქარი მიაწოდა.

### დიალოგი

– სად არის ბებია?
– სამზარეულოშია.
– იქ რას აკეთებს?
– სადილს აკეთებს.
– რა გვექნება სადილად?
– წვნიანი და შემწვარი ხორცი.
– რომელ საათზე ვისადილებთ?
– ორ საათზე ვისადილებთ.
– ორ საათზე ვისადილებთ.
– დედა და მამა სად არიან?
– ისინი სასტუმრო ოთახში სხედან და ტელევიზორს უყურებენ.

### კაფეში

დათო და მზია კაფეში შევიდნენ და ფანჯარასთან დასხდნენ. მალე ოფიციანტი მოვიდა.

– რას მიირთმევთ? – ჰკითხა ოფიციანტმა დათოს და მზიას.

– ორი ნამცხვარი მოიტანე – უთხრა გიორგიმ.

– რას დალევთ? – ჰკითხა ოფიციანტმა.

– ჩაის დალევ თუ ყავას? – ჰკითხა გიორგიმ მზიას.

– ყავას, – უპასუხა მზიამ.

– ორი ყავა მოგვიტანე, – უთხრა გიორგიმ ოფიციანტს.

21.5

| | |
|---|---|
| XVI - 1 | XVI - 2 |
| XVI - 3 | XVI - 4 |
| XVI - 5 | XVI - 6 |
| XVI - 7 | XVI - 8 |

21.6

– რისთვის ვიყენებთ ქვაბს?
– ქვაბს ვიყენებთ წვნიანის გასაკეთებლად.
– რაზე ვასხამთ წვნიანს?
– წვნიანს ვასხამთ თეფშზე.
– რისთვის ვიყენებთ კოვზს?
– კოვზს ვიყენებთ წვნიანის საჭმელად.
– რისთვის ვიყენებთ ტაფას?
– ტაფას ვიყენებთ ხორცის შესაწვავად.
– კარტოფილს რაზე ვწვავთ?
– კარტოფილს ვწვავთ ტაფაზე
– რისთვის ვიყენებთ დანას და ჩანგალს?
– დანას და ჩანგალს ვიყენებთ ხორცის საჭმელად.
– რით ვჭრით პურს?
– პურს ვჭრით დანით.
– რისთვის ვიყენებთ ჭიქას?
– ჭიქით ვსვამთ წყალს.

21.7

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. IV - 5

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

21.8

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. V - 2

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

## 22.1 სიტყვები

ან
აკაკუნებს
აღებს
აღმნიშვნელი
აღნიშნავს
არსებითი
ადვოკატი
აბზაცი
აპირებს
ავტობუსი
ასხამს
ატომური
ასრულებს

ბინა
ბანანი
ბულგარეთი

გვერდით
განსაკუთრებით
გატაცება
გატაცებული
გაზი
გაზქურა
გაკვეთილი
გუშინ
გუშინწინ
გაისად
გახეხვა
გარეთ

დაჯდომა (ჯდომა)
დასვენება
დასასვენებლად
დივანი
დევს
დღეს
დაძინება
დაბანა
დასრულება
დალევს
დელეგაცია
დასრულება
დასრულდება

ეკონომისტი
ეკითხება
ეუბნება
ენა (ქართული ენა)
ენა (ადამიანის ორგანო)
ემზადება
ერთად
ელექტროსადგური

ვიოლინო
ვახშამი
ვახშმობს
ვაშლი
ვიზიტი

ზის (მრ. – სხედან)
ზარმაცი
-ზე
ზეგ

თავისუფალი
თავაზიანი
თავაზიანად
თავისუფლება
თანამედროვე
-თან
თეფში
თემა

ინჟინერი
ისვენებს
იღებს (შხაპს)
იღებს (ხელში წიგნს)
იყენებს
ინციდენტი
იწყება
იწყებს

კითხვა
კარადა
კომპიუტერი
კლასიკა
კლასიკური
კლასი
კარაქი
კარაქიანი
კარტოფილი
კვერცხი
კაფე
კოვზი

ლიტერატურა
ლექსიკონი

მგზავრი
მგზავრობა
მგზავრობს
მეგობარი
მხოლოდ
მხოლობითი
მრავალი
მრავლობითი
მრავალსართულიან
მისამართი
მარკეტი
მასპინძელი
მასპინძლობს
მაცივარი
მზარეული
მერე
მშობელი
მათემატიკა
მეცადინეობა
მეცადინეობს
-მდე

მოაქვს (მოიტანს, მოიტანა)
მონაწილეობა
მომხდარი
მოხსენება

ნომერი
ნიშანი
(მრავლობითი რიცხვის ნიშანი)
ნამცხვარი

ოფიციანტი

პრეფიქსი
პასუხობს
პოლიტიკა
პოლიტიკოსი

რიგი
რიცხვი
რბილი
რით?
რძე

საგანი
სუფიქსი
სიმპათიური
საავადმყოფო
სართული
სტუმარი
სასტუმრო
საძინებელი
სამზარეულო
სააბაზანო
სავარძელის
საწოლი
საწერი
საჭმელი
საუზმე
საუზმობს
სადილი
სადილობს
სარეცხი
სარეცხი მანქანა
სარკე
სმა
სვამს
საქმე
სასიამოვნო
სიამოვნება
სიანოვნებით
საგარეო
სამინისტრო
სადაც
საერთაშორისო
სამეცნიერო

ტუმბო
ტანსაცმელი
ტაფა

უკან
უყურებს
უფროსი
უმცროსი
უსხამს
უკრაინა

ფეხბურთი

ქუჩა
ქვაბი

ყველა
ყოველი
ყოველდღე
ყველი
ყავა
ყაზახეთი

შუა
შეიძლება
შემოდის
შავგრემანი
შხაპი
შარშან
შემდეგ
შუადღე
შემწვარი
შინ
შეეხება (ეხება)

ჩერდება
ჩანგალი

ცუდად

ძილი

წინ
წიგნაკი
წევს
წელს
წვენი
წვნიანი

ჭკვიანი
ჭრის

ხვალ
ხორცი

ჯგუფი
ჯაზი
ჯაგრისი

ჰკიდია
ჰუმანიტარული

22.2

## ზედსართავი სახელი

სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას, ზედსართავი სახელი ჰქვია.

ზედსართავი სახელის კითხვებია:

| | |
|---|---|
| როგორი? | პატარა<br>ლამაზი |
| რომელი? | ქუდიანი<br>ლურჯთვალებიანი |
| სადაური? | იტალიელი<br>ჩინელი |
| როდინდელი | გუშინდელი<br>დღევანდელი |

22.3

*წაიკითხეთ ტექსტი. ამოიწერეთ ზედსართავი სახელები და მიუწერეთ შესაბამის არსებით სახელებს*

ეზოში ერთი პატარა, ლამაზი გოგო თამაშობდა. მას დიდი, ლურჯი, მხიარული თვალები ჰქონდა. გოგო უკრაინელი იყო, მას ნინა ერქვა. იგი თეთრ, მრავალსართულიან სახლში ცხოვრობდა, მესამე სართულზე.




3. ჩაწერეთ:

| *პატარა* | *როგორი?* | *ზედსართავი* | *პატარები* |
|---|---|---|---|
| ლამაზი | | | |
| დიდი | | | |
| ლურჯი | | | |
| მხიარული | | | |
| თვალი | | | |
| უკრაინელი | | | |
| ნინა | | | |
| მრავალ-სართულიანი | | | |
| თეთრი | | | |
| სახლი | | | |
| სართული | | | |

4. *დააწყვილეთ არსებითი სახელები შესაბამის ზედსართავ სახელებთან.*

22.4

*სახლი; ოთახი; საათი; წყალი; პური; ჩაი; კონფერენცია; ვიზიტი; ელექტროსადგური; ბიჭი; სტუდენტი; ქალი; გოგონა; მოსწავლე; რიგი.*

ატომური ..........................................

შუა ..........................................

შავგრემანი ..........................................

საერთაშორისო ..........................................

საძინებელი ..........................................

სიმპათიური ..........................................

ზარმაცი ..........................................

ოფიციალური ..........................................

ცივი ..........................................

თავაზიანი ..........................................

ჭკვიანი ..........................................

კარაქიანი ..........................................

დიდი ..........................................

ცხელი ..........................................

22.5

5. ჩაწერეთ

| | ზედსარ-თავი | არსები-თი |
|---|---|---|
| ავტოკალამი | | + |
| ახალი | + | |
| ატამი | | |
| ახლანდელი | | |
| აუდიტორია | | |
| აბაზანა | | |
| ბურთი | | |
| ბამბა | | |
| გრილი | | |
| გატაცებული | | |
| დედა | | |
| დიდი | | |
| დაბალი | | |

**22.6** ანტონიმები

საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვებს ანტონიმები ჰქვია.

| | | |
|---|---|---|
| დაბალი – მაღალი | ვიწრო – ფართო | ზარმაცი – ბეჯითი |
| დიდი – პატარა | ცოტა – ბევრი | გემრიელი – უგემური |
| ახალი – ძველი | მაგარი – რბილი | კარგი – ცუდი |
| მსხვილი – წვრილი | ცხელი – ცივი | ნათელი – ბნელი |

**22.7** ჩაწერეთ შესაბამისი ზედსართავი სახელები.

| | | |
|---|---|---|
| **სახლი** — დიდი, პატარა, ახალი, ..................... | ქუჩა — | სკამი — |
| ჩაი — | წვნიანი — | სტუდენტი — <br> ძაფი — |

7. შეადგინეთ თითოეული ცხრილისთვის ორი წინადადება

*0. მარიამი დიდ სახლში ცხოვრობს.*

*0. ჩვენს ქუჩაზე* ახალი *სახლი ააშენეს*

1. ..........................................................
2. ..........................................................
3. ..........................................................
4. ..........................................................
5. ..........................................................
6. ..........................................................
7. ..........................................................
8. ..........................................................
9. ..........................................................
10. ..........................................................
11. ..........................................................
12. ..........................................................
13. ..........................................................
14. ..........................................................

| | |
|---|---|
| XII - 1 | XII - 2 |
| XII - 3 | XII - 4 |
| XII - 5 | XII - 6 |
| XII - 7 | XII - 8 |

**სახელმწიფო საზღვარი** 22.9

- წაიკითხეთ მოცემული ტექსტი წყვილებში.
- მოიფიქრეთ და დაუსვით მეგობარს კითხვა, რომელიც აქ არაა მოცემული

| 12. გზად | | |
|---|---|---|
| – რამდენი კილომეტრია საქართველოსა და თურქეთის საზღვრამდე? | | – საქართველოსა და თურქეთის საზღვრამდე დარჩენილია ათი კილომეტრი. |
| – რამდენ წუთში მივალთ საზღვრამდე? | | – საზღვრამდე თხუთმეტ წუთში მივალთ. |
| – სად არის საბაჟო? | | – საბაჟო სარფშია. |
| – რა მიზნით მიემგზავრებით საქართველოში? | | – ტურისტი ვარ. მინდა დავისვენო 10 დღით. |
| – თქვენც ტურისტი ხართ? | | – არა, მე სტუდენტი ვარ, საქართველოში ვსწავლობ. |
| – თქვენი მეგობარიც სტუდენტია? | | – არა, ის ბიზნესმენია და საქართველოში საქმიანი შეხვედრით მიემგზავრება. |
| – საბაჟოზე დიდხანს გაგვაჩერებენ? | | – არა. საზღვარზე გადასვლის წესები გამარტივებულია. |
| – საქართველოში შესვლისთვის ვიზა საჭიროა? | | – არა, საქართველოშო შესვლისთვის ვიზა საჭირო არ არის. |
| – საბაჟო შემოწმებისთვის ავტობუსიდან უნდა ჩავიდეთ? | | – დიახ, ავტობუსიდან უნდა ჩახვიდეთ |

| 13. საბაჟოზე | | |
|---|---|---|
| – ვის უნდა მივცე ჩემი პასპორტი? | | – თქვენ დიპლომატიური პასპორტი გაქვთ? |
| – არა, ჩვეულებრივი. | | – პასპორტი უნდა წარუდგინოთ საბაჟოს თანამშრომელს. ის მეორე ჯიხურში ზის. |
| – აი ჩემი პასპორტი. სად შეიძლება მივიღო ინფორმაცია საბაჟო მომსახურების წესების შესახებ? | | – ყველა ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ცნობათა ბიუროში. |
| – გმადლობთ. | | – ეს ნივთები თქვენია? |
| – დიახ, ეს ნივთები ჩემია. | | – დიდ ჩანთაში რა გაქვთ? |
| – დიდ ჩანთაში ტანსაცმელია. საჭიროა მისი გახსნა? | | – არა, საჭირო არ არის. |
| მე მხოლოდ პირადი ნივთები გამაჩნია. საჭიროა ბაჟის გადახდა? | | – არა, ბაჟის გადახდა საჭირო არ არის. |

| 14. ავტოსადგურში | | |
|---|---|---|
| – სად დგას თბილისისკენ მიმავალი ავტობუსი? | | – თბილისისკენ მიმავალი ავტობუსი ჩერდება ავტოსადგურში. |
| – ავტოსადგომი სად არის? | | – ავტოსადგური ახლოსაა, ორას მეტრში. |
| – ავტობუსის ბილეთები სალაროში უნდა ვიყიდო თუ მძღოლთან? | | – თუ შორს მიდიხართ, სალაროში უნდა იყიდოთ, ადგილობრივ მარშრუტებზე – მძღოლთან |
| – რა ღირს ბილეთი თბილისამდე მგზავრობისთვის? | | – თბილისამდე მგზავრობისთვის ბილეთი 25 ლარი ღირს. |
| – ბათუმამდე რით შეიძლება მგზავრობა? | | – ბათუმამდე მგზავრობა შეიძლება ტაქსით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით. |
| – რომელი ნომერი ავტობუსი მიდის ბათუმის მიმართულებით? | | ბათუმის მიმართულებით მიდის 101 ნომერი ავტობუსი. |
| – რომელი ნომერი სამარშრუტო ტაქსი მიდის ბათუმის მიმართულებით? | | ბათუმის მიმართულებით მიდის 142 ნომერი სამარშრუტო ტაქსი. |

22.10

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. I - 9

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

# XXIII გაკვეთილი

| 23.1 სიგრძის, ფართობის, წონის, მოცულობის საზომი ერთეულები. | 23.2 დიალოგი მარკეტში |
|---|---|
| *სიგრძის საზომი ერთეულებია: კილომეტრი, მეტრი, დეციმეტრი, მილიმეტრი.*<br><br>ერთ კილომეტრში ასი მტრია.<br>ერთ მეტრში ასი სანტიმეტრია.<br>ერთ დეციმეტრში ათი სანტიმეტრია.<br>ერთ მეტრში ათი დეციმეტრია.<br><br>*ფართობის საზომი ერთეულებია: ჰექტარი, კვადრატული კილომეტრი, კვადრატული მეტრი...*<br><br>ერთ ჰექტარში 10 000 კვადრატული მეტრია.<br>ერთი კვადრატული კილომეტრი ათასი კვადრატული მეტრია.<br><br>*წონის საზომი ერთეულებია: ტონა, ცენტნერი, კილოგრამი, გრამი, მილიგრამი.*<br><br>ერთ ტონაში 10 ცენტნერია.<br>ერთ ცენტნერში 100 კილოგრამია<br>ერთ ტონაში 1000 კილოგრამია.<br>ერთ კილოგრამში 1000 გრამია.<br>ერთ გრამში 10 მილიგრამია.<br><br>*მოცულობის საზომი ერთეულებია: ლიტრი, კუბური მეტრი, კუბური დეციმეტრი, კუბური სანტიმეტრი.*<br><br>ერთი ლიტრი ერთი კუბური დეციმეტრია.<br>ერთი ლიტრი ათი კუბური სანტიმეტრია. | – რა ღირს პური?<br>– პური 70 თეთრი ღირს.<br>– შაქარი?<br>– შაქარი ღირს ერთი ლარი და 80 თეთრი.<br>– ყველი?<br>– იმერული ყველი 6 ლარი ღირს, სულგუნი – 10 ლარი.<br>– ამიწონეთ ორი კილოგრამი შაქარი და ერთი კილოგრამი ყველი.<br>– რომელი ყველი?<br>– სულგუნი.<br>– პურიც გინდათ?<br>– დიახ, ორი პური მომეცით.<br>– სხვა არაფერს ინებებთ?<br>– მომეცით ძეხვი, ხსნადი ყავა და ორი ფილა შოკოლადი.<br>– ხილი გნებავთ?<br>– დიახ. ვაშლი და ყურძენი ამიწონეთ თითო კილო. მინერალური წყალიც მინდა.<br>– ბორჯომი თუ ნაბეღლავი?<br>– ბორჯომი.<br>– კოკა-კოლა გნებავთ?<br>– არა, კოკა-კოლა არ მინდა.<br>– კიდევ ხომ არაფერს ინებებთ? თაფლი გაქვთ?<br>– არა, თაფლი არ გვაქვს.<br>– მაშინ მეტი არაფერი მინდა. რამდენი უნდა გადავიხადო?<br>– 62 ლარი და 44 თეთრი. |

23.3

| | | | |
|---|---|---|---|
| XVII - 1 | XVII - 2 | XVII - 3 | XVII - 4 |
| XVII - 5 | XVII - 6 | XVII - 7 | XVII - 8 |

23.4 ისწავლეთ ტექსტი ზეპირად. უპასუხეთ კითხვებს.

## ნინოს სახლი

ნინოს სახლი სოფელშია. აქ ნინოსთან ერთად მისი ოჯახი ცხოვრობს: დედა, მამა, ორი უმცროსი ძმა და ერთი და, რომელიც ოცდაერთი წლისაა. ნინოს სოფელი ქალაქთან ახლოსაა.

ნინოს სახლი ორსართულიანია, სახლის უკან ბაღია. ბაღში მანდარინის, ვაშლის, მსხლის და ატმის ხეებია. სახლში რვა ოთახია: ოთხი საძინებელი, კაბინეტი, სასადილო, სამზარეულო და დიდი სასტუმრო ოთახი. აბაზანა პირველ სართულზეა. ამავე სართულზეა საკუჭნაო, სადაც ბევრი თაროა.

ორი საძინებელი მწვანედაა შეღებილი, ერთი – სტაფილოსფრად, ერთიც – ლურჯად. სასტუმრო ოთახისა და კაბინეტის კედლები თეთრი ფერისაა, სასადილოსა და სამზარეულოს – ყვითელი.

ნინოს ოჯახში ხშირად მოდიან სტუმრები. ისინი ჩაის სვამენ და საუბრობენ.

(70) **უპასუხეთ კითხვებს:**

I. სად არის ნინოს სახლი?

.......................................................................................................................................

II. ვინ და ვინ ცხოვრობს ნინოსთან ერთად?

.......................................................................................................................................

III. რამდენსართულიანია ნინოს სახლი?

.......................................................................................................................................

IV. რომელი ხეებია ბაღში?

.......................................................................................................................................

V. ნინოს სოფელი ქალაქთან ახლოსაა?

.......................................................................................................................................

VI. ვინ არის ოცდაერთი წლის?

.......................................................................................................................................

VII. რამდენი ოთახია ნინოს სახლში?

.......................................................................................................................................

VIII. რომელ სართულზეა აბაზანა?

.......................................................................................................................................

IX. რისთვისაა საჭირო საკუჭნაო?

.......................................................................................................................................

X. რომელ სართულზეა საკუჭნაო?

.......................................................................................................................................

XI. რამდენი წევრისგან შედგება ნინოს ოჯახი?

.......................................................................................................................................

XII. ნინო და-ძმებს შორის ყველაზე უფროსია?

.......................................................................................................................................

XIII. ნინო და-ძმებს შორის ყველაზე უმცროსია?

.......................................................................................................................................

XIV. რა ფერისაა საძინებელი ოთახები?

.......................................................................................................................................

XV. რა ფერისაა კაბინეტი?

.......................................................................................................................................

XVI რომელი ოთახებია შეღებილი ყვითლად?

.......................................................................................................................................

XVII რისთვისაა საჭირო სასადილო ოთახი?

.......................................................................................................................................

XVIII რას აკეთებენ სტუმრები?

.......................................................................................................................................

**23.5** საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. VI - 1

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

23.6

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. VI - 2

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

## ექიმთან

- წაიკითხეთ მოცემული ტექსტი წყვილებში.
- მოიფიქრეთ და დაუსვით მეგობარს კითხვა, რომელიც აქ არაა მოცემული

24.1

### 6. გზად

| | |
|---|---|
| – სად არის პოლიკლინიკა? | – პოლიკლინიკა რესპუბლიკურ საავადმყოფოშია. |
| – რესპუბლიკური საავადმყოფო სადაა? | – რესპუბლიკური საავადმყოფო ჭავჭავაძის ქუჩაზეა. |
| – ჭავჭავაძის ქუჩა ახლოსაა? ტაქსით ხომ არ წავიდე? | – ტაქსი ან სხვა ტრანსპორტი არ დაგჭირდებათ. საავადმყოფო ორი კვარტლის შემდეგაა. შეგიძლიათ ფეხით წახვიდეთ |
| – რომელ საათზე იწყება სამუშაო დღე პოლიკლინიკაში? | – პოლიკლინიკაში სამუშაო დღე იწყება 9 საათზე. |
| – რომელ საათამდე მუშაობენ პოლიკლინიკაში? | – პოლიკლინიკაში საღამოს ექვს საათამდე მუშაობენ. |

24.2

### 7. პოლიკლინიკაში

| | |
|---|---|
| – ეს თერაპევტის კაბინეტია? | – არა, ეს ქირურგის კაბინეტია. |
| – ქირურგის კაბინეტის გვერდით ლარინგოლოგის ოთახია. | – არა, ქირურგის კაბინეტის გვერდით ოკულისტის ოთახია. |
| – თერაპევტის კაბინეტი სადაა? | – თერაპევტის კაბინეტი მეორე სართულზეა, დერეფნის ბოლოს. |
| – სტომატოლოგის კაბინეტი სადაა? | – სტომატოლოგის კაბინეტი თერაპევტის ოთახის გვერდითაა. |
| – სად უნდა ჩავაბარო სისხლის ანალიზი. | – სისხლის ანალიზი ლაბორატორიაში უნდა ჩააბაროთ. |
| – თერაპევტთან კონსულტაცია ფასიანია? | – დიახ, ფასიანია. |
| – რომელ საათზე უნდა მივიდე თერაპევტთან? | – თერაპევტი პაციენტებს ცხრიდან თხუთმეტ საათამდე იღებს. |

24.3

### 8. ექიმთან

| | |
|---|---|
| – ეს თერაპევტის კაბინეტია? კონსულტაციისთვის მოვედი. თქვენ ექიმი ხართ? | – არა, მე ექთანი ვარ. დაბრძანდით. |
| – ექიმი მალე მოვა? | – ექიმი აქ არის. მეორე ოთახში შებრძანდით. |
| – გამარჯობათ, ექიმო, კონსულტაციისთვის მოვედი. | – რა გაწუხებთ? |
| – სიცხე მაქვს. | – მაღალი ტემპერატურა გაქვთ? |
| – გუშინწინ 37,5 გრადუსი მქონდა სიცხე, დღეს დილით – 38 გრადუსი. | – ყელი გტკივათ? |
| – დიახ, დღეს უკვე ყელიც ამტკივდა. | – სუნთქვა გიჭირთ? |
| – არა, სუნთქვა არ მიჭირს. ვფიქრობ, რომ გრიპი მაქვს | – დიახ, გრიპი გაქვთ. |
| – ანალიზების ჩაბარება საჭიროა? | – არა, ანალიზების ჩაბარება საჭირო არ არის, მე წამლებს გამოგიწერთ. |
| – საავადმყოფოში უნდა დავწვე? | – არა, საავადმყოფოში დაწოლა საჭირო არ არის, სახლში უნდა იმკურნალოთ. |
| – წამლები აფთიაქში უნდა ვიყიდო? | – დიახ, წამლები აფთიაქში უნდა იყიდოთ. |

24.4

## თინას ძმა

- ისწავლეთ ტექსტი ზეპირად

ბესოს მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. ის არ თამაშობდა. არც ჭამდა. ლოგინში იწვა და ჩუმად იყო. დედამ თბილი რძე დაალევინა. მამამ ექიმი მოიყვანა. ექიმმა თინას ძმას სიცხე გაუზომა, ფილტვები და ყელი გაუსინჯა, მერე დედა დაამშვიდა და წამლები გამოწერა.

თინას ძმას ყელი სტკიოდა. ექიმმა ანგინის დიაგნოზი დასვა. დედა სამსახურში არ დადიოდა და ბესოს უვლიდა. ნინო ბესოს ზღაპრებს უკითხავდა. ბესოსთვის ოპერაცია არ გაუკეთებიათ. სამი დღის შემდეგ ბესო გამოჯანმრთელდა.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1 | ბესოს სიცხე ჰქონდა? | X | |
| 2 | ბესო ბევრს თამაშობდა? | | |
| 3 | ბესო სკოლაში დადიოდა? | | |
| 4 | ბესო ლოგინში იწვა? | | |
| 5 | ბესოს დედამ რძე ავადმყოფობის გამო დაალევინა? | | |
| 6 | დედა ზღაპრებს უკითხავდა ბესოს? | | |
| 7 | დედამ ექიმი მოიყვანა? | | |
| 8 | ბესოს დედა მშვიდად იყო? | | |
| 9 | ნინოს ძმას ფილტვები სტკიოდა? | | |
| 10 | ექიმმა ბესოს ფილტვები გაუსინჯა? | | |
| 11 | დედა სამსახურში ყოველდღე დადიოდა? | | |
| 6 | ბესოს თინა უვლიდა? | | |
| 7 | ბესოს ზღაპრებს თინა უკითხავდა? | | |
| 8 | ბესოს ოპერაცია გაუკეთეს? | | |
| 9 | ბესოს გრიპი ჰქონდა? | | |
| 10 | წამლები ბესომ გამოწერა? | | |
| 11 | თინა ავად იყო? | | |
| 8 | მამა ჯანმრთელად იყო? | | |
| 9 | მამას ანგინა ჰქონდა? | | |
| 10 | ექიმმა წამალი დალია? | | |
| 11 | ბესოს დედა თინას უვლიდა? | | |

24.5

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. VII - 1

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

24.6

საშინაო დავალება: მოამზადე მასალა წყვილში მუშაობისათვის. დასვი კითხვა, უპასუხე კითხვას.

სურ. VII - 3

დაწერე ტექსტი მოცემული სურათისთვის

ავტობუსი
ავტოსადგური
ახლოს
ადგილობრივი
აძლევს
არაფერი

ბეჯითი
ბნელი
ბიზნესმენი
ბიურო
ბაჟი
ბილეთი
ბორჯომი (წყალი)
ბალი

გუშინდელი
გემრიელი
გამარტივებული
გადაიხდის (იხდის)
გრამი

დღევანდელი
დარჩა
დარჩენილი
დიპლომატი
დიპლომატიური
დეციმეტრი

ერთეული

ვიწრო
ვიზა

ზედსართავი

თვისება
თანამშრომელი
თეთრი (ფული)
თითო
თაფლი

ინფორმაცია
იხდის (გადაიხდის)
იმერეთი
იმერული
ინებებს
ისარი

კილომეტრი
კვადრატული კილომეტრი
კვადრატული მეტრი
კილოგრამი (კილო)
კუბური მეტრი
კუბური დეციმეტრი
კუბური სანტიმეტრი
კალათა

ლურჯთვალებიანი
(ლურჯთვალა)
ლარი
ლიტრი
ლიმონი

მიმავალი
მხიარული
მაღალი
მსხვილი
მაგარი
მიზანი
მარტივი
მომსახურება
მძღოლი
მარშრუტი
მიმართულება
მეტრი
მილიგრამი
მოცულობა
მინერალური
მაშინ
მარწყვი
მანდარინი

ნიშანი
ნიშან-თვისება
ნათელი
ნივთი
ნაბეღლავი (წყალი)

ორასი
ოჯახი

პატარა
პასპორტი

საქმიანი
სასადილო
საზღვარი
საბაჟო
საჭირო
სალარო
სამარშრუტო
სიგრძე
საზომი
სანტიმეტრი
სულგუნი
საზამთრო
საკუჭნაო
სტაფილო
სტაფილოსფერი

ტურისტი
ტაქსი
ტონა

უგემური

ფართო
ფართობი
ფილა
ფორთოხალი

ქუდი
ქუდიანი

ღირს

ყიდვა
ყიდულობს
ყველი
ყავა
ყურძენი

შემოწმება (ამოწმებს)
შეხვედრა (ხვდება)
შესახებ
შეუძლია
შორს
შაქარი
შოკოლადი

ჩვეულებრივი

ცუდი
ცოტა
ცნობა
ცენტნერი

ძეხვი

წვრილი
წესი
წონა

ხანი
ხვდება
ხსნადი

ჯიხური

ჰექტარი

# საქართველო

- ისწავლეთ ტექსტი ზეპირად

საქართველო არის სახელმწიფო ამიერკავკასიაში. იგი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. სამხრეთიდან მას თურქეთი და სომხეთი ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანი, ჩრდილოეთიდან – რუსეთი.

ქვეყნის ფართობი 69700 (სამოცდაცხრა ათას შვიდასი) კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობის რაოდენობა არის დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი. პარლამენტს ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევენ.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი. ქვეყანა დაყოფილია 11 რეგიონად: 1. აფხაზეთი; 2. აჭარა; 3. სამეგრელო და ზემო სვანეთი; 4. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი; 5. გურია; 6. იმერეთი; 7. სამცხე-ჯავახეთი; 8. შიდა ქართლი; 9. ქვემო ქართლი; 10. მცხეთა-მთიანეთი; 11. კახეთი.

საქართველო უძველესი ქვეყანაა. ქართველი ტომები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ამიერკავკასიაში, ჰქონდათ ძლიერი სახელმწიფო და მაღალი კულტურა.

I. სად მდებარეობს საქართველო?

.............................................................................................................

II. რომელი ქვეყნები ესაზღვრება საქართველოს?

.............................................................................................................

III. რომელი ქვეყანა ესაზღვრებს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან?

.............................................................................................................

IV. რომელი ქვეყნები ესაზღვრება საქართველოს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან?

.............................................................................................................

V. რამდენია საქართველოს ფართობი?

.............................................................................................................

VI. რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში?

.............................................................................................................

VII. ვინ არის სახელმწიფოს მეთაური?

.............................................................................................................

VIII. რას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი?

.............................................................................................................

IX. რას ირჩევენ ოთხ წელიწადში ერთხელ?

.............................................................................................................

X. რა ჰქვია საქართველოს დედაქალაქს?

.............................................................................................................

XI. რამდენ რეგიონადაა დაყოფილი საქართველო?

.............................................................................................................

XII. საიდან ვიცით, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა?

.............................................................................................................

XIII. ვინ ცხოვრობდა უხსოვარი დროიდან საქართველოში?

.............................................................................................................

XIV. რა იცით ძველი ქართველი ტომების შესახებ?

.............................................................................................................

XV. ვის ჰქონდა ძლიერი სახელმწიფო და მაღალი კულტურა?

.............................................................................................................




25.3



3

| | |
|---|---|
| აფხაზეთი | სოხუმი |
| აჭარა | ბათუმი |
| სამეგრელო და ზემო სვანეთი | ზუგდიდი |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | ამბროლაური |
| გურია | ოზურგეთი |
| იმერეთი | ქუთაისი |
| სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე |
| შიდა ქართლი | გორი |
| ქვემო ქართლი | რუსთავი |
| მცხეთა-მთიანეთი | მცხეთა |
| კახეთი. | თელავი |

25.4

საქართველო არის სახელმწიფო ამიერკავკასიაში. იგი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. სამხრეთიდან მას თურქეთი და სომხეთი ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანი, ჩრდილოეთიდან – რუსეთი.

ქვეყნის ფართობი 69700 (სამოცდაცხრა ათას შვიდასი) კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობის რაოდენობა არის დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი. პარლამენტს ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევენ.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი. ქვეყანა დაყოფილია 11 რეგიონად: 1. აფხაზეთი; 2. აჭარა; 3. სამეგრელო და ზემო სვანეთი; 4. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი; 5. გურია; 6. იმერეთი; 7. სამცხე-ჯავახეთი; 8. შიდა ქართლი; 9. ქვემო ქართლი; 10. მცხეთა-მთიანეთი; 11. კახეთი.

საქართველო უძველესი ქვეყანაა. ქართველი ტომები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ამიერკავკასიაში, ჰქონდათ ძლიერი სახელმწიფო და მაღალი კულტურა.

| არსებითი სახელი | | ზედსართავი სახელი | | ზმნა | |
|---|---|---|---|---|---|
| *მხოლობითი* | *მრავლობითი* | *მხოლობითი* | *მრავლობითი* | *მხოლობითი* | *მრავლობითი* |
| სახელმწიფო | სახელმწიფოები | შავი | შავები | არის | არიან |

| 25.5 სასტუმროში | • წაიკითხეთ მოცემული ტექსტი წყვილებში.<br>• მოიფიქრეთ და დაუსვით მეგობარს კითხვა, რომელიც აქ არაა მოცემული |
|---|---|

**6. გზად**

| | | |
|---|---|---|
| – რა ჰქვია ამ სასტუმროს? | | – ამ სასტუმროს ჰქვია „კავკასია". |
| – მაღალი კლასის სასტუმროა? | | – დიახ, იგი ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროა ქალაქში. |
| – თავისუფალი დაგილები გაქვთ? | | – დიახ, თავისუფალი ადგილები გვაქვს. |
| – რა ღირს ორადგილიანი ნომერი?? | | – ორადგილიანი ნომერი ორასი ლარი ღირს. |
| – ნომერში ტელევიზორი და ტელეფონი არის? | | – ნომერში არის ტელევიზორი, ტელეფონი, აგრეთვე აბაზანა. |
| – ნომრის ღირებულებაში საუზმე შედის? | | – დიახ, ნომრის ღირებულებაში საუზმე შედის.. |
| – ჩვენ გვინდა ნომერი ზღვის ხედით. | | – შეგვიძლია შემოგთავაზოთ ოთახი ზღვის ხედით მეხუთე ან მეექვსე სართულზე. |
| – ჩვენ მეექვსე სართულზე გვირჩევნია. რეგისტრაცია სად უნდა გავიაროთ? | | – რეგისტრაციას გაივლით ადმინისტრატორთან. |
| – რა საბუთები უნდა წარმოვადგინოთ? | | – პასპორტი. აგრეთვე უნდა უპაზუხოთ რამდენიმე კითხვას ანკეტის შესავსებად. |
| – ჩვენი ნომერი რომელ სართულზეა?. | | – თქვენი ნომერი მეექვსე სართულზეა: ოთახი № 612. |
| – ჩვენ ნომერში როგორ მივიდეთ? | | – შეგვიძლიათ ახვიდეთ ლიფტით ან კიბით. |
| – სასტუმროში რესტორანი არის? | | – დიახ. რესტორანი მეოთხე სართულზეა. |

**25.6**

**8. რესტორანში**

| | | |
|---|---|---|
| – უკაცრავად, ეს მაგიდა თავისუფალია? | | – არა, დაკავებულია, მაგრამ გვერდით თავისუფალია.. |
| – ჩვენ გვინდა დავსხდეთ ფანჯარასთან? | | – მაშინ აქით მობრძანდით. ფანჯარასთან ერთი მაგიდა თავისუფალია. იმ ადგილიდან ზღვის შესანიშნავი ხედი იშლება. |
| – ოფიციანტი მალე მოვა. | | – ის უკვე აქ არის. რას მიირთმევთ? |
| – რომელ ეროვნულ კერძს სემოგვთავაზებთ? | | – ჩვენთან ძალიან გემრიელ ხაჭაპურს აკეთებენ? |
| – ხინკალი გაქვთ? | | – დიახ. |
| – მოგვიტანეთ, გეთაყვა, ხინკალი და ხბოს მწვადი. | | – რამდენი ხინკალი გნებავთ? |
| – ათი ხინკალი და ორი მწვადი. | | – რას დალევთ? |
| – მხოლოდ მინერალურ წყალს. ბორჯომი მოგვიტანეთ, თუ შეიძლება. | | – სხვა არაფერი გნებავთ? |
| – გმადლობთ სხვა არაფერი გვინდა. შეკვეთას მალე მოიტანთ | | – თხუთმეტ წუთში. |
| – ანგარიში მოგვიტანეთ თუ შეიძლება? | | – ანგარიშს ახლავე მოგართმევთ. |
| – ხურდა თქვენთვის დაიტოვეთ. | | – გმადლობთ. |

XI - 1

XI - 2

**25.** გააკეთეთ კითხვების გასწვრივ აღნიშნვა „დიახ" ან „არა" მოცემული ტექსტის შესაბამისად:

ნინო და გიორგი ბათუმის უნივერსიტეტში სწავლობენ. ჯგუფში კიდევ რვა სტუდენტია. დღეს მეცადინეობა 10 საათზე დაიწყო. პირველი გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში ჰქონდათ.

მასწავლებელმა ნინოს შეკითხვები დაუსვა:

– რა იცი უძველესი ქართველი ტომების შესახებ?

– ქართველი ტომები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ამიერკავკასიაში, ჰქონდათ ძლიერი სახელმწიფო და მაღალი კულტურა, – უპასუხა ნინომ.

– რა იცი ქართული ანბანის შესახებ? – ჰკითხა მასწავლებელმა.

– ქართველებმა დიდი ხნის წინ შექმნეს საკუთარი ანბანი. საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, კახეთში, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს წარწერა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის I–II საუკუნეებით თარიღდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქართული ანბანი შექმნილი უნდა იყოს კიდევ უფრო ადრე – ძველი წელთაღრიცხვის VII-V საუკუნეებში, – უპასუხა ნინომ.

– ვინ იყვნენ კოლხები? – ახლა გიორგის ჰკითხა მასწავლებელმა.

გიორგიმ ამ კითხვას ცუდად უპასუხა, ამიტომ მასწავლებელმა უსაყვედურა.

გიორგიმ ცოტა იცოდა არგონავტების შესახებაც.

მასწავლებელმა ნინო შეაქო, გიორგის კი უთხრა, რომ მშობლებს შეატყობინებდა მისი სიზარმაცის ამბავს.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო და გიორგი უნივერსიტეტში სწავლობენ? | X | |
| 2 | ნინოს ჯგუფში ათი სტუდენტია? | | |
| 3 | ამიერკავკასიაში ქართველებს სახელმწიფო ჰქონდათ? | | |
| 4 | ნინომ ქართველი ტომების შესახებ ბევრი ილაპარაკა? | | |
| 5 | მასწავლებელმა ნინოს ქართველი მწერლების შესახებ ჰკითხა? | | |
| 6 | არქეოლოგები ახალი წელთაღრიცხვის I–II საუკუნეებში ცხოვრობდნენ? | | |
| 7 | მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ გიორგიმ არ იცოდა, ვინ იყვნენ კოლხები? | | |
| 8 | ნინომ იცოდა, რომ ქართული ანბანი დიდი ხნისაა? | | |
| 9 | გიორგის მშობლებმა ისაუბრეს არგონავტების შესახებ? | | |
| 10 | ნინო უფრო ზარმაცია, ვიდრე გიორგი? | | |
| 11 | გიორგის მშობლებს გაუხარდებოდათ, როცა მასწავლებელი ეტყოდა შვილის ამბავს? | | |